




ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



ხარისხიანი თაფლის წარმოების ხელშეწყობა რაჭის რეგიონში ანბარიში



თბილისი, 2022

ეს პუბლიკაცია შექმნილია "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის" ფარგლებში.

მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი“ და „ცოდნის და გამოცდილების ტრანსფერი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა



სარჩევი

| | |
|--|----|
| შესავალი | 1 |
| მონიტორინგის მიზანი | 3 |
| მეთოდოლოგია | 3 |
| სამაგიდე კვლევა | 3 |
| სიღრმისეული ინტერვიუები | 3 |
| სამუშაო შეხვედრები | 4 |
| 1. სამაგიდე კვლევა | 5 |
| 1.1. ასოცირების შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის | 5 |
| 1.2. ევროკავშირის დირექტივების და რეგულაციების დანერგვის პროცესი საქართველოში | 6 |
| 1.3. სურსათის ეროვნული სააგენტო | 7 |
| 1.4. მეფუტკრეობის და თაფლის სექტორში სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი გარემო | 8 |
| 1.5. თაფლის წარმოების და მეფუტკრეობის მხარდაჭერი სახელმძღვანელოები ... | 12 |
| 1.6. სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების პრობლემები (საპარლამენტო მოკვლევის მიხედვით) | 14 |
| 2. რაჭის რეგიონში თაფლის წარმოების კვლევის შედეგები | 16 |
| 2.1. რაჭის რეგიონში წარმოებული თაფლის სახეობები და პროდუქციის რეალიზაცია | 16 |
| 2.2. ასოცირების შეთანხმების გავლენა მეფუტკრეობის და თაფლის წარმოების სექტორის განვითარებაზე | 16 |
| 2.3. სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესის მიმდინარეობა და მეფუტკრეების ინფორმირებულობა | 17 |
| 2.4. ევროკავშირთან დაახლოებული კანონმდებლობის აღსრულების პროცესის მიმდინარეობა | 19 |
| 2.5. სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერა მეფუტკრეობის სექტორისათვის | 23 |
| 2.6. მეფუტკრეების და თაფლის საწარმოების ინფორმირება და მათი უნარების გაძლიერება სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დანერგვის კუთხით | 25 |
| 2.7. რაჭაში მოქმედი მეფუტკრეების მთავარი გამოწვევები | 25 |
| 2.8. ქართული თაფლის ხარისხის გასაუმჯობესებლად და საექსპორტო კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად გასატარებელი ღონისძიებები | 30 |
| დანართი 1: მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება სლოვენიაში | 32 |

შესავალი

იმისათვის, რომ საქართველოში წარმოებული მაღალი რისკის მქონე სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მოხვდეს ევროკავშირის ბაზარზე, პროდუქტის შემადგენლობა უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის შესაბამის მოთხოვნებს, საწარმოს უნდა ქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია პროდუქციის წარმოების სრული ჯაჭვის და პროდუქტის უვნებლობის ლაბორატორიული კვლევების შესახებ, საქართველოში უნდა ფუნქციონირებდეს ევროკავშირში არსებული კონტროლის მექანიზმის მსგავსი სისტემა¹.

თაფლი მიეკუთვნება მაღალ რისკიან პროდუქტს და მისი ექსპორტი 2017 წლიდან დაშვებულია ევროკავშირში, მას შემდეგ რაც ევროკავშირმა საქართველო შეიყვანა მესამე ქვეყნების სიაში, რომელთაც ევროკავშირის ბაზარზე თაფლის ექსპორტი შეუძლიათ². აღნიშნული შესაძლებელი გახდა საქართველოს მიერ 2015-2016 წლებში ევროკომისიისგან მიღებული რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით მიღწეული პროგრესის შედეგად³. 2015 წლისათვის, თაფლთან დაკავშირებული რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი შესრულებული იყო. შესაბამისად, იმავე წელს, საქართველომ ევროკომისიას წარუდგინა განაცხადი თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების მონიტორინგის გეგმის აღიარებისა და ევროკავშირში თაფლის ექსპორტის უფლების მოპოვების მიზნით⁴.

რაჭა მეფუტკრეობისათვის ერთ-ერთი ხელსაყრელი რეგიონია და თაფლის წარმოება მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს დასაქმებისათვის, შემოსავლების მიღებისათვის და ექსპორტისათვის. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ 2019 წელს რაჭაში მოქმედი კოოპერატივის - „რაჭის ნატურალური პროდუქტების“ მიერ წარმოებული თაფლი ერთ-ერთი პირველი გავიდა ევროკავშირის ბაზარზე და წარდგენილ იქნა ბერლინის საერთაშორისო მწვანე კვირეულზე⁵.

რეგიონში დარგის გრძელვადიანი განვითარებისათვის აუცილებელია მენარმეების კვალიფიციური და უწყვეტი ინფორმირება არსებული კანონმდებლობის, მოთხოვნების და ევროკავშირში ექსპორტის პროცედურების შესახებ. მიმდინარე ეტაპზე, მეფუტკრეები საქართველოში განიცდიან თაფლის წარმოების თანამედროვე მეთოდების და ცოდნის ნაკლებობას⁶. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ევროკავშირის მარეგულირებელ სისტემასთან დაახლოების მიზნით შექმნილი კანონმდებლობის იმპლემენტაცია⁷.

¹ <http://www.dcfta.gov.ge/ge/dcfta-for-business/foodsafety>

² <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016D2092&from=EN>

³ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა, 2016 წლის ანგარიში, გვ.6 https://dcfta.gov.ge/assets/uploads/implimentation/2016წლის_შესრულების_ანგარიში.pdf

⁴ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2015 წლის ანგარიში, <https://dcfta.gov.ge/assets/uploads/implimentation/2015%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf>

⁵ <https://bm.ge/ka/article/qartuli-tafli-pirveli-partia-evropashi-gaigzavna/28864>

⁶ <https://www.fao.org/georgia/news/detail-events/ge/c/1401131/>

⁷ „სახელმძღვანელო უვნებელი და ხარისხიანი თაფლის წარმოებისათვის“, <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/17101>

რაჭის რეგიონში მოქმედი მეფუტკრეები აწყდებიან სირთულეებს წარმოებული პროდუქციის გასაღების ბაზარზე გატანის მიმართულებით⁸. აღნიშნული პრობლემები ნაწილობრივ უკავშირდება ინფორმაციის ნაკლებობას სურსათის უვნებლობის სფეროში გატარებული იმ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომების შესახებ, რომლებიც მოქმედებს ან რომელთა ამოქმედებაც დაგეგმილია ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების მიხედვით.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ რაჭაში მოქმედი მეფუტკრეების უმრავლესობას აქვს მეტი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა, თუმცა პრობლემას წარმოადგენს დამატებით წარმოებული თაფლის რეალიზაცია. შესაბამისად, მეფუტკრეები და მთლიანად რეგიონი ვერ ითვისებენ მეთაფლეობის პოტენციალს, რაც იწვევს შემოსავლების დანაკარგებს, პროდუქციის დაბალ კონკურენტუნარიანობას, დასაქმების შესაძლებლობების ხელიდან გაშვებას, ექსპორტის პოტენციალის აუთვისებლობას, ქართველი მომხმარებლებისათვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის ხელმისაწვდომობის ნაკლებობას.

⁸ „რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიით (2014-2021) ნაკისრი ვალდებულებების მერულების მონიტორინგი მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების კუთხით“, https://www.asocireba.ge/files/KET_RLQSSRC_SME_Regional_Strategy_Monitoring.pdf

■ მონიტორინგის მიზანი

მონიტორინგის მიზანია მეფუტკრეობის დარგში რაჭის რეგიონში მოქმედი მეწარმეების ინფორმირებულობის დადგენა სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესახებ, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და ადვოკატირება.

აღნიშნული მიზნის და საპროექტო წინადადებით განსაზღვრული ამოცანების შესრულების მიზნით, პროექტის გუნდმა, თვისებრივი მეთოდოლოგიის ფარგლებში, სამაგიდე კვლევის, ნახევრად-სტრუქტურული ინტერვიუების და სამუშაო შეხვედრების გზით გამოიკვლია ასოცირების შეთანხმების შესრულების მიმდინარეობა, მეფუტკრეების და თაფლის საწარმოების ინფორმირებულობის დონე, არსებული გამოწვევები და მათი მოგვარების გზები. შეგროვებული მონაცემების საფუძველზე შემუშავდა მონიტორინგის ანგარიში.

მათოდოლოგია

აღნიშნული ანგარიში თვისებრივი კვლევისათვის დამახასიათებელ მეთოდებს ეყრდნობა, როგორცაა მეორად წყაროებზე დაფუძნებული სამაგიდე კვლევა და ნახევრად სტრუქტურული სიღრმისეული ინტერვიუები.

სამაგიდე კვლევა

სამაგიდე კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების და მისი დანართების, სახელმწიფო ინსტიტუტების შესაბამისი ანგარიშების შესწავლა სურსათის უვნებლობის სფეროში აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით, ევროკავშირის რეგულაციების და დირექტივების საქართველოში დანერგვის პროცესის მიმოხილვა, შესაბამისი მარეგულირებელი ინსტიტუტების ფუნქციების მიმოხილვა, მეფუტკრეობის და თაფლის წარმოების სექტორში სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი გარემოს იდენტიფიცირება და შესაბამისი მარეგულირებელი აქტების მოკლე მიმოხილვა, მეფუტკრეობის და თაფლის წარმოების სახელმძღვანელოების იდენტიფიცირება და მათი შინაარსის მოკლე მიმოხილვა.

სიღრმისეული ინტერვიუები

2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის მარტამდე სურსათის უვნებლობის კუთხით ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის, აღნიშნული პროცესის განხორციელებაში საჯარო და კერძო სექტორის მზაობის დადგენის, მეფუტკრეების და თაფლის გადამამუშავებელი საწარმოების ინფორმირების მიზნით განხორციელებული ქმედებების იდენტიფიცირების და ქართული თაფლის ხარისხის გასაუმჯობესებლად და საექსპორტო კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად გასატარებელი ღონისძიებების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარდა 8 ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუ საჯარო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლებთან.

2022 წლის მარტიდან 2022 წლის ივნისამდე რაჭაში წარმოებული თაფლის სახეობების, მისი რეალიზაციის არხების დადგენის, თაფლის სექტორზე ასოცირების შეთანხმების

ზეგავლენის დადგენის, სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ მეფუტკრეთა ინფორმირების დონის დადგენის, ინფორმაციის მიღების წყაროების და კანონმდებლობის აღსრულების პროცესში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, სახელმწიფო პროგრამების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების, მეფუტკრეების გამომწვევების და საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარდა 20 ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ რაჭაში მოქმედ მეფუტკრეებთან, კოოპერატივების და სანარმოების წარმომადგენლებთან.

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია რესპოდენტების საქმიანობის სახეობის და რაოდენობის შესახებ.

ცხრილი 1: რესპოდენტების საქმიანობის სახეობა და რაოდენობა

| სანარმოს ტიპი | რაოდენობა | ამბროლაური | ონი |
|---------------------------------|-----------|------------|-----|
| მეფუტკრე | 15 | 10 | 5 |
| კოოპერატივი | 4 | 2 | 2 |
| თაფლის გადამამუშავებელი სანარმო | 1 | 1 | 0 |

სამუშაო შეხვედრები

კვლევის ეტაპზე გამოვლენილი გამოწვევების დეტალური განხილვის და პრობლემების გადაჭრის გზებზე მსჯელობის მიზნით, 2022 წლის 16 სექტემბერს ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები ადგილობრივ მეფუტკრეებთან. ღონისძიებების მიმდინარეობისას, მეფუტკრეები განაწილდნენ სამუშაო ჯგუფებში და ჩამოაყალიბეს რაჭაში მეფუტკრეობის სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, ასევე წარმოადგინეს ყველაზე უფრო აქტუალური პრობლემები, იმსჯელეს მათ გამომწვევ მიზეზებზე და გადაჭრის გზებზე.

1. სამაგიდე კვლევა

1.1. ასოცირების შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის

პროექტით გათვალისწინებული მონიტორინგისა და ადვოკატირების საქმიანობა ფარავს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების მე-4 კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-4 თავით (სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები)⁹ გათვალისწინებულ დებულებებს და დანართი IV-XII-ით¹⁰ გათვალისწინებულ ვალდებულებებს, სადაც მოცემულია სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის ჩამონათვალი, რომელსაც საქართველომ უნდა დაუახლოვოს კანონმდებლობა (დანართი XI-B).

დანართი XI-B-ს მიხედვით, 2015-2026 წლებში ვეტერინარიის სფეროში საქართველომ საკუთარი კანონმდებლობა უნდა დაუახლოვოს ევროკავშირის 84 საკანონმდებლო აქტს, სურსათის უვნებლობის სფეროში 101 საკანონმდებლო აქტს, ხოლო მცენარეთა დაცვის სფეროში 87 საკანონმდებლო აქტს.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების წლიური ანგარიშების მიხედვით, თითოეულ სფეროში საკანონმდებლო დაახლოების მიზნით მიღებული ნორმატიული აქტების რაოდენობა მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 2. ვეტერინარიის, სურსათის უვნებლობის და ფიტოსანიტარიის სფეროებში მიღებული ნორმატიული აქტების რაოდენობა

| | ვეტერინარია | სურსათის უვნებლობა | ფიტოსანიტარია |
|------|-------------|--------------------|---------------|
| 2015 | 2 | 9 | 6 |
| 2016 | 6 | 9 | 2 |
| 2017 | 5 | 7 | 3 |
| 2018 | 4 | 3 | 7 |
| 2019 | 4 | 7 | 7 |
| 2020 | 3 | 3 | 5 |
| 2021 | 1 | 6 | 0 |
| სულ | 25 | 44 | 30 |

წყარო: DCFTA-ს განხორციელების წლიური ანგარიშები

⁹ ასოცირების შეთანხმება, ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, თავი 4: სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, <https://dcfta.gov.ge/assets/uploads/agreement/sanitary/%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98.pdf>

¹⁰ ასოცირების შეთანხმება, დანართი IV-XII <http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/agreement/sanitary/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%20IV%20-%20XII.PDF>

1.2. ევროკავშირის დირექტივების და რეგულაციების დანერგვის პროცესი საქართველოში

სურსათის უვნებლობის სფეროსთან დაკავშირებული დირექტივების და რეგულაციების დანერგვაზე მუშაობა მიმდინარეობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომელშიც შედიან სამინისტროს სოფლის მეურნეობის, სურსათის და სოფლის განვითარების დეპარტამენტის, იურიდიული დეპარტამენტის, ევროინტეგრაციის დეპარტამენტის, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს და სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის თანამშრომლები.

ჯგუფის მუშაობას განსაზღვრავს ევროკავშირთან შეთანხმებული საკანონმდებლო დაახლოების გრაფიკი¹¹. ასოცირების შეთანხმების შესრულებისას საქართველოს აქვს დირექტივების ადაპტაციის შესაძლებლობა და ეროვნულ კანონმდებლობაში მათი ინკორპორაციის ფორმის არჩევის თავისუფლება, რაც ითვალისწინებს აგრეთვე ნორმატიული აქტის ფორმის არჩევის თავისუფლებასაც. წლის დასაწყისში სამუშაო ჯგუფის წევრები იწყებენ მუშაობას მთავრობის დადგენილების პროექტზე, რომლის საშუალებითაც ხდება ევროკავშირის დებულებებთან დაახლოება¹². დოკუმენტის სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ ხდება მისი განთავსება სამინისტროს ვებ-გვერდზე და იწყება საზოგადოებრივი განხილვა, რომლის დროსაც დაინტერესებულ პირებს ბეპირი და წერილობითი ფორმით შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები, შენიშვნები და კომენტარები. სწორედ აღნიშნული ეტაპი წარმოადგენს კერძო სექტორის, ბიზნეს ასოციაციების, კლასტერების და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობის პლატფორმას.

საზოგადოებრივი განხილვის შემდეგ დოკუმენტის სამუშაო ვერსია იგზავნება სხვა სამინისტროებში¹³ და მიღებული შენიშვნებისა და მოსაზრებების საფუძველზე მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები სამთავრობო ინსტიტუტებს შორის. დოკუმენტის საბოლოო ვერსია წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებისას რეგულირების ზეგავლენის შეფასება სავალდებულო წესით არ მოითხოვება, თუმცა ასეთი შეფასება შეიძლება განხორციელდეს მისი ავტორის/ინიციატორის – საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით¹⁴. ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოებისა და კონკრეტული ნორმების საქართველოს კანონმდებლობაში დანერგვის პროცესში მიზანშეწონილია ხდებოდეს რეგულირების ზეგავლენის შეფასება, რაც მეტად გასაგებს გახდის კონკრეტულ დარგებზე მოსალოდნელ ზეგავლენას და ამასთან ერთად ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის პროაქტიულად მიწოდებას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ევროკავშირის რეგულაციებისა და დირექტივების დანერგვის პროცესი სურსათის უვნებლობის სფეროში.


¹¹ <http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/agreement/sanitary/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%20IV%20-%20XII.PDF>

¹² გარკვეულ შემთხვევებში სამუშაო ჯგუფი ნორმატიული აქტის ნაცვლად შეიმუშავებს სახელმძღვანელო მითითებებს

¹³ ძირითადად ეკონომიკის და მდგრადი განვითარების, ფინანსთა, იუსტიციის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

¹⁴ საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, მუხლი 17/1 რეგულირების ზეგავლენის შეფასება, 2009 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=33>

დიაგრამა 1: ევროკავშირის რეგულაციების და დირექტივების დანერგვის პროცესი სურსათის უვნებლობის სფეროში



1.3. სურსათის ეროვნული სააგენტო

სურსათის უვნებლობის სფეროში შესაბამისი ფუნქციების განმახორციელებელ მთავარ სახელმწიფო ინსტიტუტს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელიც

- ✘ ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს სურსათის წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ეტაპებზე
- ✘ ამოწმებს მიკვლევადობის მოთხოვნებს
- ✘ ამოწმებს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემას
- ✘ აკონტროლებს ცხოველთა ჯანმრთელობას და ეპიზოოტიურ კეთილსაიმედოობას
- ✘ არეგისტრირებს და აკონტროლებს ვეტერინარულ პრეპარატებს
- ✘ ახორციელებს კონტროლს მცენარეთა დაცვის უზრუნველსაყოფად
- ✘ უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე

სააგენტო შეიმუშავებს სახელმძღვანელოებსა და მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს სურსათის უვნებლობის სფეროში, ასევე აფასებს და აანალიზებს ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობას.

სურსათის ეროვნული სააგენტოს შენადგენლობაში ფუნქციონირებენ ტერიტორიული ორგანოები – გურიის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, აჭარის და აფხაზეთის რეგიონული სამმართველოები.

სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების ფუნქციებია:

- ✘ სახელმწიფო კონტროლის განხორციელება სურსათის, ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სფეროში სამოქმედო ტერიტორიებზე
- ✘ ცხოველთა გადამდები დაავადებების დიაგნოსტიკა, მათი საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება
- ✘ ცხოველთა იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია
- ✘ კარანტინის ორგანიზება
- ✘ სერთიფიკატების გაცემა

1.4. მეფუტკრეობის და თაფლის საქეფორში სურსათის უვნებლობის გარეგანი გარემო

საქართველოში, თაფლის საქეფორში სურსათის უვნებლობას არეგულირებს შემდეგი კანონები და რეგულაციები:

- ✘ საქართველოს კანონი: სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი.
- ✘ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 714: „თაფლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი.
- ✘ საქართველოს მთავრობის დადგენილება №173: „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამართივებული წესის“ ტექნიკური რეგლამენტი.
- ✘ საქართველოს მთავრობის დადგენილება №577: „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“.
- ✘ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 639: „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“.
- ✘ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 301: „ტექნიკური რეგლამენტის - მობხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“.
- ✘ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 301/ნ: სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ.
- ✘ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 441: „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი.
- ✘ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 22: „ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“
- ✘ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 198: „ბიონარმოების შესახებ“
- ✘ საქართველოს მთავრობის დადგენილება №567: „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი¹⁵ არეგულირებს სურსათის და ცხოველის საკვების უვნებლობის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროების სახელმწიფო კონტროლის სახეებს, მიკვლევადობასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებს წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე, უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციებს, ბიზნესოპერატორის ვალდებულებებს, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა დაცვისა და სიჯანსაღის ძირითად მოთხოვნებსა და პირობებს, ვეტერინარული და მცენარეული კარანტინის დებულებებს, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და ეგროქიმიკატების ექსპორტისა და იმპორტის მოთხოვნებს.

თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი¹⁶ განსაზღვრავს რეგულირების ერთიან პრინციპებს თაფლის წარმოების, გადამამუშავების და დისტრიბუციის ეტაპებზე. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს მოთხოვნებს თაფლის, მისი მარკირების და ეტიკეტირების, ბაზარზე განთავსების პირობების მიმართ, ასევე მოთხოვნებს ბიზნესოპერატორების მიმართ. ტექნიკური რეგლამენტის რეგულირების ობიექტია საქართველოს ბაზარზე განთავსებული თაფლი.

„სურსათის/ცხოველების საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესის“ ტექნიკური რეგლამენტი¹⁷ ადგენს მოთხოვნებს საწარმოს ტერიტორიისადმი და საწარმოს შენობის მიმართ, მოთხოვნებს იმ სათავსოს მიმართ, რომელშიც ხდება სურსათის წარმოება ან გადამამუშავება, მოთხოვნებს დროებითი ან მოძრავი შენობების, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის, აღჭურვილობისა და მონყობილობის მიმართ. ტექნიკური რეგლამენტი ასევე განსაზღვრავს მოთხოვნებს სურსათის მიმართ, მისი შეფუთვისა და დაფასოებისათვის საჭირო მოთხოვნებს, თერმულ დამუშავებასთან, დეზინფექციასთან, ნარჩენების მართვასთან, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ტექნიკური რეგლამენტით ასევე განისაზღვრება პერსონალის პირადი ჰიგიენის და ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასევე პერსონალის სწავლების საკითხები. **„სურსათის/ცხოველების საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ ტექნიკური რეგლამენტი** ადგენს ჰიგიენურ მოთხოვნებს პირველადი წარმოებისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების მიმართ, მოთხოვნებს საწარმოს, სურსათის წარმოების და გადამამუშავების სათავსოს მიმართ, წყალმომარაგებასა და კანალიზაციასთან, აღჭურვილობასა და მონყობილობებთან, სურსათთან და მის შეფუთვისასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ნარჩენების შეგროვების და გატანის, ტრანსპორტირების მოთხოვნებს და პერსონალის ჰიგიენის და ჯანმრთელობის მდგომარეობის დებულებებს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება **„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“¹⁸** განსაზღვრავს მიკვლევადობის ზოგად პრინციპებს და მოთხოვნებს, ბიზნესოპერატორის ვალდებულებებს, სპეციალურ მოთხოვნებს ცხოველური წარმოშობის სურსათის მიკვლევადობისათვის. აღნიშნული პრინციპები და მოთხოვნები მიზნად ისახავს სურსათის და ცხოველის საკვების, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ნივთიერების, ცხოველისა და მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის და აგროქიმიკატის ბაზარზე განთავსების შეზღუდვასთან, აკრძალვასთან ან ბაზრიდან მის ამოღებასთან და-

¹⁵ საქართველოს კანონი - „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი – <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659434?publication=15>

¹⁶ „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ – <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2656194?publication=0>

¹⁷ „სურსათის/ცხოველების საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესის“ ტექნიკური რეგლამენტი - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1007830?publication=0>

¹⁸ „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპები და მოთხოვნები“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3047408?publication=1>

კავშირებით სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შესაბამისი ზომების მიღებას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

ტექნიკური რეგლამენტი – „**მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე**“¹⁹ მიზნად ისახავს სურსათის შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების დაცვას და შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას. ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაციის წარდგენის პრინციპებს, სურსათის შესახებ ინფორმაციის ძირითად და ზოგად მოთხოვნებს, ბიზნესოპერატორის ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს. მასში მოცემულია სურსათის შესახებ სავალდებულო მონაცემების ჩამონათვალი, მათი წარდგენის წესები, ინგრედიენტების ჩამონათვალის წარდგენის წესი, იმ ნივთიერებების ეტიკეტირების წესები, რომლებიც იწვევს ალერგიას ან მომეტებულ მგრძობელობას, ვარგისიანობის ვადის მითითების წესი, წარმოშობის ქვეყნის და ადგილის მითითების წესი, კვებითი ღირებულების შესახებ ინფორმაციის მითითების წესი.

ტექნიკური რეგლამენტი „**ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი წარჩენების მონიტორინგის წესი**“²⁰ მიზნად ისახავს რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და ადგენს მონიტორინგის ორგანიზებისა და განხორციელების წესს. ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით მონიტორინგს ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელიც წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით შეიმუშავებს მონიტორინგის გეგმას. სააგენტო ვალდებულია მონიტორინგის შედეგები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ყოველწლიურად ან საჭიროების მიხედვით. ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს ბიზნესოპერატორის და ვეტერინარის ვალდებულებებს, აკრედიტებული ლაბორატორიის პასუხისმგებლობას. ყოველწლიურად გასაკონტროლებელი თაფლის ნიმუშების რაოდენობა განისაზღვრება ლაბორატორიული გამოკვლევის მეთოდების მოთხოვნიდან გამომდინარე. თაფლის ნიმუშის აღება შესაძლებელია წარმოების ჯაჭვის ნებისმიერ ეტაპზე, იმ პირობით, რომ შესაძლებელი იქნება განხორციელდეს თაფლის მიკვლევადობა პირველადი წარმოების დონეზე. ყოველწლიურად თაფლისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობა წლიური წარმოების 1-ელ 3000 ტონაზე, ყოველი 300 ტონისათვის შეადგენს 10 ნიმუშს, ხოლო ყოველ მომდევნო 300 ტონაზე დამატებით 1 ნიმუშს.

ბიოწარმოების შესახებ წესები²¹ განსაზღვრავს ბიომეურნეობის მართვის, ბიოპროდუქტის წარმოების, გადამუშავების, ნიშანდების, ეტიკეტირების, დისტრიბუციის, რეალიზაციის, ასევე ნებაყოფლობითი სერთიფიკაციის წესსა და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. დადგენილებით განისაზღვრება ბიოწარმოების ზოგადი პრინციპები, სპეციფიკური პრინციპები, სპეციფიკური წესები მემცენარეობისათვის, მეცხოველეობისათვის, ფრინველისათვის და სხვა დარგებისათვის. დადგენილების მე-8 მუხლი მოიცავს სპეციფიკურ წესებს მეფუტკრეობისა და მეფუტკრეობის პროდუქტებისათვის. განსაზღვრულია სკების დამზადებისა და განთავსების წესები, მოთხოვნები მათ გარშემო არსებული გარემოს მიმართ, ფუტკრის საკვებით უზრუნველყოფის დებულებები, ფუტკრის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად გამოსაყენებელი კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დებულებები.

¹⁹ ტექნიკური რეგლამენტი „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3328780?publication=2>

²⁰ ტექნიკური რეგლამენტი - „ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერების (სუბსტანციის) და მათი წარჩენების მონიტორინგის წესი“ - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3165516?publication=3>

²¹ „ბიოწარმოების შესახებ“ წესები - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1978999?publication=1>

სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი²² მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვას, ასევე მომხმარებელთა ინტერესების უზრუნველყოფას სურსათთან დაკავშირებულ ქიმიურ რისკებთან დაკავშირებით. ტექნიკური რეგლამენტით დადგენილია სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის, როგორცაა ნიტრატები, მიკოტოქსინები (აფლატოქსინი, ოხრატოქსინი A, პატულინი, დებოქსინივალენოლი, ზეარალენონი, ფუმინიზინი, ჭვავის რქის სკლეროცეა და ალკალოიდები), ლითონები (ტყვია, კადმიუმი, ვერცხლისწყალი, კალა, დარიშხანი), 3-მონოქლოროპროპანდიოლი (3-MCPD) და გლიციდილის ცხიმოვანი მჟავის რთული ეთერები, დიოქსინები და პოლიქლორობიფენილები, პოლიციკლური არომატული ნახშირწყლები, მელამინი, მცენარეული ტოქსინი - დასაშვები მაქსიმალური ზღვარი. ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, თაფლში ტყვიის დაშვებული მაქსიმალური ზღვარია 0,10 მილიგრამი კილოგრამ ნედლეულ ნონაზე.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ფუტკრის დაავადების შემთხვევაში, თაფლის მწარმოებელი ვალდებულია გამოიყენოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ვეტერინარული პრეპარატები, რომელთა ნუსხაც განთავსებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე.

2018 წლის 5 ივნისს, საქართველოს მთავრობამ №317 დადგენილებით დაამტკიცა **„მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“**, რომელიც ამოქმედდება 2024 წლის 1-ლი სექტემბრიდან. აღნიშნული წესი უზრუნველყოფს სურსათთან უშუალოდ ან არაპირდაპირი შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ადამიანის ჯანმრთელობის და მომხმარებელთა უფლებების დაცვას. მარეგულირებელ აქტში მითითებულია ზოგადი მოთხოვნები, სპეციალური მოთხოვნები, სპეციალური მოთხოვნები მასალებისა და საგნების ჯგუფებისათვის, საქართველოში ავტორიზებული სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების ჯგუფები, მოთხოვნები ახალი ნივთიერებების ავტორიზაციისათვის, ბიზნესოპერატორის ვალდებულებები, ეტიკეტირების წესები, მიკვლევადობის პრინციპები, დამცავი ზომები, კარგი საწარმოო პრაქტიკის ვალდებულებები. დადგენილებაში 2021 წლის 19 მარტს შესული ცვლილებით დადგინდა სპეციალური მოთხოვნები ვინილ-ქლორიდის მონომერის შემცველი მასალებისა და საგნების მიმართ.

2021 წლის 3 ნოემბერს, საქართველოს მთავრობამ № 525 დადგენილებით დაამტკიცა ტექნიკური რეგლამენტი – **„სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილ მასალებსა და ნაკეთობებში (საგნებში) ეპოქსიდური ფისების ზოგიერთი წარმოებულის გამოყენების შეზღუდვის შესახებ“²³**, რომელიც ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილ მასალებსა და საგნებში ეპოქსიდური ფისების ზოგიერთი წარმოებულის მიგრაციის კონკრეტულ ზღვრებს და მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ტექნიკური რეგლამენტით დადგენილია მასალებიდან და საგნებიდან BADGE-ის და მისი ზოგიერთი წარმოებული პროდუქტის მიგრაციის ზღვარი, ასევე BFDGE-ს და NOGE-ს გამოყენების და შემცველობის აკრძალვა.

²² ტექნიკური რეგლამენტი - „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ“ - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3046872?publication=4>

²³ ტექნიკური რეგლამენტი – „სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილ მასალებსა და ნაკეთობებში (საგნებში) ეპოქსიდური ფისების ზოგიერთი წარმოებულის გამოყენების შეზღუდვის შესახებ“ – <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5277093?publication=0>

1.5. თაფლის წარმოების და მეფუტკრეობის მხარდაჭერი სახელმძღვანელოები

მეფუტკრეობის სახელმძღვანელო²⁴, რომელიც გამოცემულია 2017 წელს გაეროს განვითარების პროგრამის და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის მხარდაჭერით, მიმოიხილავს შემდეგ საკითხებს:

- ✘ ფუტკრის პროდუქტების მიღება, პირველადი დამუშავება და შენახვა
- ✘ ფუტკრის მოვლა-პატრონობა
- ✘ საფუტკრე მეურნეობების ორგანიზება და ძირითადი საწარმოო მიმართულებების განსაზღვრა
- ✘ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, ფუტკრის დაავადებები და მოთხოვნები ნატურალური თაფლის მიმართ
- ✘ საკვები ბაზა და ფუტკრის გამოყენება მემცენარეობაში
- ✘ საკვებისა და ჩარჩოების ტიპები და კომპლექტაცია

„სახელმძღვანელო უვნებელი და ხარისხიანი თაფლის წარმოებისათვის“²⁵, რომელიც 2019 წელს გამოიცა, წარმოადგენს მეფუტკრეობის სანიმუშო პრაქტიკას, ფუტკრის დაავადებათა კონტროლის ძირითად პრინციპებს, ფუტკრის ოჯახების შემოწმების წესებს, ფუტკრის ოჯახების კვებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ჰიგიენის მოთხოვნებსა და HACCP სტანდარტებს, თაფლის გადამუშავების პროცესის კარგ პრაქტიკას და შესაბამისი პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მეფუტკრე ფერმერისა და თაფლის მწარმოებლის გამკვლევი **„მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება საქართველოსა და ევროკავშირში“²⁶** შექმნილია CENN-ის მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით. მასში აღწერილია ფუტკრის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მოიცავს ფუტკრის ოჯახის ბიოლოგიას, საფუტკრე მეურნეობის ორგანიზებას, ფუტკრის ოჯახების განთავსებას საფუტკრე მეურნეობაში, ფუტკრის მავნებლებს, დაავადებებს და მათთან ბრძოლის ღონისძიებებს, ფუტკრის ოჯახების გამრავლებას, სემონურ სამუშაოებს, ფუტკრის პროდუქტების წარმოებას. სახელმძღვანელოში აღწერილია უვნებელი თაფლის წარმოებასთან, გადამუშავებასთან და დისტრიბუციასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოში თაფლის წარმოებისა და თაფლის ბაზრის შესახებ, ასევე საერთაშორისო მონაცემები დარგის შესახებ. სახელმძღვანელოს დანართებში რეკომენდაციის სახით წარმოდგენილია პირველადი წარმოებისა და გადამუშავების ეტაპებზე ზოგიერთი მიმდინარე საქმიანობისა და ღონისძიების ამსახველი ნიმუშები, რომლებიც შედგენილია მიკვლევადობისა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. თაფლის პირველად წარმოებაში ჩართული მეწარმეებისათვის და ფიზიკური პირებისათვის მოყვანილია ფუტკრის საკვების შესყიდვისა და მიღების, ვეტერინარული პრეპარატების შესყიდვისა და მიღების, ვეტერინარული პრეპარატების გამოყენების, მიმწოდებლების აღრიცხვის, ფუტკრის ჯანმრთელობის მდგომარეობის აღრიცხვის ჟურნალების ნიმუშები. თაფლის გადამამუ-

²⁴ „მეფუტკრეობა“ - გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), <https://srca.gov.ge/files/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%A2%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf>

²⁵ „სახელმძღვანელო უვნებელი და ხარისხიანი თაფლის წარმოებისათვის“, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/17101>

²⁶ „მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება საქართველოსა და ევროკავშირში“, CENN, <http://www.kedalag.ge/images/temp/2020/03/06/68d31d14d6301b04deef114d94c50b85.pdf>

შავებელი საწარმოებისათვის მოცემულია ნედლეულისა და მასალების, სანიტარული და ჰიგიენური საშუალებების, რეცხვა-დებიინფიცირების, ჩამონარეცხის ლაბორატორიული გამოკვლევის, პერსონალის ტრენინგებისა და სწავლების, პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ვიზიტორთა აღრიცხვის და ჯანმრთელობის მდგომარეობის, მზა პროდუქტის საწყობიდან გაცემის, საწყობში ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის აღრიცხვის ჟურნალების ნიმუშები. სახელმძღვანელოში ასევე წარმოდგენილია დანადგარებისა და ელექტრომონოციბილობების ტექნიკური მომსახურების გეგმა.

„თაფლის ექსპორტის გზამკვლევი“²⁷, რომელიც მომზადებულია საქართველოს ბიზნესის ინსტიტუტის მიერ შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს და ავსტრიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, წარმოადგენს შემდეგ ინფორმაციას:

- ✦ თაფლის სექტორში სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული კანონები და რეგულაციები
- ✦ მეფუტკრეების და თაფლის საწარმოების ვალდებულებები
- ✦ ლაბორატორიების მიერ თაფლის შემოწმება
- ✦ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლება-მოვალეობები
- ✦ თაფლის უვნებლობის მოთხოვნები
- ✦ თაფლის ექსპორტის პროცესი
- ✦ ვეტერინარული, წარმოშობის სერთიფიკატების მიღებასთან დაკავშირებული პროცესები
- ✦ კომერციულ და სატრანსპორტო დოკუმენტებთან, საბაჟო დეკლარაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია
- ✦ ექსპორტის პროცესის დაგეგმვა
- ✦ საექსპორტო ქვეყნებისა და ქვეყანათა გაერთიანებების მიმოხილვა
- ✦ ექსპორტის პროცესში ჩართული და ხელშემწყობი ორგანიზაციები
- ✦ რჩევები თაფლში ანტიბიოტიკების შემცველობის თავიდან ასარიდებლად
- ✦ ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის მიერ თაფლზე ჩატარებული კვლევების შესახებ

გზამკვლევის მიხედვით წარმოდგენილი თაფლის ექსპორტის პროცესი გამოსახულია დიაგრამა:

დიაგრამა 2: თაფლის ექსპორტის პროცესი



ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის ეტაპი მოიცავს თაფლის მწარმოებლის კვების პროდუქტების მწარმოებელ ბიზნესოპერატორად დარეგისტრირებას ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.

²⁷ "თაფლის ექსპორტის გზამკვლევი", გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, <https://mepa.gov.ge/Ge/Files/Download/37630>

ბიზნესოპერატორად აღიარების ეტაპზე, საწარმოს საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, თაფლის საწარმო განცხადებით მიმართავს სურსათის ეროვნულ სააგენტოს. განცხადება უნდა შეიცავდეს ბიზნესოპერატორის რეგისტრაციის ნომერს, ფაქტიურ და იურიდიულ მისამართს, საქმიანობის სახეს, წარმოებული/გადაამუშავებული ცხოველური წარმოშობის სურსათის სახეობას. აღიარება ხორციელდება სააგენტოს მიერ საწარმოს ინსპექტირების შედეგების მიხედვით. ბიზნესოპერატორად აღიარება ეხება თაფლის საწარმოს და არა მეფუტკრეს.

საექსპორტო დოკუმენტაცია მოიცავს ვეტერინარულ სერთიფიკატს, წარმოშობის სერთიფიკატს, კომერციულ დოკუმენტებს, საბაჟო დეკლარაციას, სატრანსპორტო დოკუმენტებს და ლაბორატორიული ანალიზების ანგარიშს (იმპორტიორის მოთხოვნის შემთხვევაში). ექსპორტისათვის საჭირო დოკუმენტების პაკეტი დამოკიდებულია მიმღები სახელმწიფოს/სახელმწიფოთა გაერთიანების და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებზე.

საექსპორტო პროდუქციის ტრანსპორტირებისას რეკომენდირებულია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- ✘ საჰაერო ტრანსპორტის გამოყენება მცირე მოცულობის თაფლის ექსპორტისას
- ✘ საზღვაო ტრანსპორტის გამოყენება დიდი პარტიის ექსპორტისას, სატრანსპორტო დანახარჯების შემცირების მიზნით,
- ✘ სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენება მეზობელ ქვეყნებში ექსპორტისას, მიწოდების ვადებისა და ტარიფების გათვალისწინებით

1.6. სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების პრობლემები (საპარლამენტო მოკვლევის მიხედვით)

საქართველოს პარლამენტის მიერ 2021 წელს ჩატარებული საპარლამენტო მოკვლევის – „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის გამოწვევები და შესაძლებლობები ევროპის ბაზარზე“²⁸ მიხედვით, პოზიციების წარმდგენი ინსტიტუტების მხრიდან ყურადღება გამახვილდა შემდეგ პრობლემებზე:

- სახელმწიფო ინსტიტუტების არასაკმარისი ტექნიკური შესაძლებლობები საკანონმდებლო პროცესის დაახლოების კუთხით
- რეგულაციების შემოღების გახანგრძლივებული გარდამავალი პერიოდები, რაც შეწარმევს უქმნის იმის მოლოდინს, რომ სახელმწიფო მაინც გადაავადებს კანონის ამოქმედებას
- არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო დამატებითი ფინანსები და ინვესტიციები და მათზე გართულებული ხელმისაწვდომობა
- პროდუქციის ხარისხი და სხვადასხვა პროდუქციის მოთხოვნილი რაოდენობის მიწოდების სირთულე
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის და ევროკავშირთან ვაჭ-

²⁸ თემატური მოკვლევის ანგარიში: „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის გამოწვევები და შესაძლებლობები ევროპის ბაზარზე“ - <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/agraruli-evrointegracia/angarishi.pdf>

რობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, მათ შორის საკანონმდებლო სიახლეებზე ინფორმაციის გავრცელების დაბალი დონე

- საკანონმდებლო სიახლეების და რეგულაციების შემუშავების პროცესში მენარმეების და ფერმერების ჩართულობის დაბალი დონე
- ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მცირე და საშუალო საწარმოების მიერ, საკმარისი ფინანსური რესურსის და ცოდნის ნაკლებობის გამო
- ფერმერული მეურნეობების მცირე ზომა და კოოპერაციის ნაკლებობა
- თაფლის ლაბორატორიული ანალიზების ჩატარება
- სავაჭრო პარტნიორებთან თაფლის ნიმუშის გაგზავნა, რისთვისაც საჭიროა ვეტერინარული სერტიფიკატის აღება
- თაფლის ნიმუშის გაგზავნის მაღალი ხარჯები და მიმღები ქვეყნის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა
- ევროკავშირის ბაზარზე წვდომის გასაზრდელად თაფლის მსხვილი საექსპორტო პარტიების მობილიზება (მინიმუმ 20 ტონა თითოეული პარტია), რისთვისაც საჭიროა თაფლის შეგროვება სხვადასხვა მეფუტკრეებიდან და თითოეული მწარმოებლოს თაფლის ლაბორატორიული შემოწმება (თითოეული ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზის ხარჯი შეადგენს დაახლოებით 1500 ლარს)
- ლაბორატორიების მიერ თაფლის ნიმუშის აღების და ლაბორატორიაში ჩაბარების წესის არ არსებობა
- ლოჯისტიკის განვითარების დაბალი დონე მეფუტკრეობის დარგში
- ფუტკრის რძის, ყვავილის მტკრის და დინდგელის წარმოების აღჭურვილობის და შესაბამისი მეთოდების არ არსებობა, რის გამოც აღნიშნული პროდუქტების ექსპორტი ვერ ხერხდება

საპარლამენტო მოკვლევის ფარგლებში, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების მიერ აღინიშნა, რომ მიმდინარე ეტაპზე მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ევროკავშირთან დაახლოებული კანონმდებლობის აღსრულება, რაც მოითხოვს კერძო სექტორის შესაძლებლობების გაძლიერებას, ცნობიერების ამაღლებას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას. ამასთანავე, საჭიროა მაკონტროლებელი ინსტიტუტების გაძლიერება და ლაბორატორიული შესაძლებლობების გაფართოება. კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების მარტივად და გასაგებად ახსნის მიზნით ასევე დაფიქსირდა ისეთი გზამკვლევების შემუშავების საჭიროება, რომლებიც მარტივად და გასაგებად ახსნიან კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. რაჭის რეგიონში თაფლის წარმოების კვლევის შედეგები

2.1. რაჭის რეგიონში წარმოებული თაფლის სახეობები და პროდუქციის რეალიზაცია

პროექტის ფარგლებში რაჭის რეგიონში გამოკითხული მეფუტკრეები და თაფლის მწარმოებლები ძირითადად ყვავილის - როგორც მონოფლორულ, ასევე პოლიფლორულ პროდუქტს აწარმოებენ:

- ✘ შერეული პოლიფლორული თაფლი
- ✘ ცაცხვის თაფლი
- ✘ წაბლის თაფლი
- ✘ მინდვრის ყვავილების თაფლი
- ✘ აკაციის თაფლი
- ✘ ალპური თაფლი
- ✘ მაისის თაფლი

გამოკითხული მეფუტკრეების აბსოლუტური უმრავლესობა თაფლის რეალიზაციას პირდაპირ მომხმარებელზე ახდენს. აღნიშნულ შემთხვევაში მეფუტკრეებს მეტწილად სტაბილური მომხმარებლები ყავთ, რომლებიც უზნებლად მიიჩნევენ თაფლს და წლების განმავლობაში ყიდულობენ პროდუქტს მათგან. შესაბამისად, რაჭაში მოქმედი მეფუტკრეების წარმოებული თაფლის რეალიზაცია ძირითადად ხდება რაჭის მუნიციპალიტეტების და ქვეყნის მასშტაბით. რაჭაში მოქმედი ერთ-ერთი თაფლის საწარმო რეალიზაციას ახდენს როგორც პირდაპირ მომხმარებლებზე, ასევე საბითუმო სავაჭრო ქსელებში და მცირე რაოდენობა გააქვს ექსპორტზე, ხოლო ერთ-ერთი კოოპერატივი ამარაგებს სახელმწიფო ინსტიტუტებს (თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროები), ასევე წარმოებული პროდუქციის დაახლოებით 20% გააქვს ექსპორტზე ყატარში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, გერმანიაში და იტალიაში. ერთ-ერთმა მეფუტკრემ აღნიშნა, რომ COVID-19 პანდემიამდე რაჭაში აზერბაიჯანელი და თურქი შემსყიდველები ყიდულობდნენ თაფლს.

2.2. ასოცირების შეთანხმების გავლენა მეფუტკრეობის და თაფლის წარმოების სექტორის განვითარებაზე

საჯარო სამსახურების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების თვალთახედვით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებულმა ასოცირების შეთანხმებამ და ქართული თაფლის ევროკავშირის ბაზარზე დაშვებამ გამოიწვია საქართველოში თაფლის წარმოების მოცულობის ზრდა. საქართველოს თაფლის ექსპორტის დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა ამისათვის საჭიროა სურსათის უვნებლობის მოთხოვნების და შესაბამისი რეგულაციების დაცვა და საფუტკრე მეურნეობების გამსხვილება.

რაჭის რეგიონში გამოკითხული მეფუტკრეების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებულმა ასოცირების შეთანხმებამ ახალი პერსპექტივები გახსნა მეფუტკრეებისა და თაფლის საწარმოებისათვის და ერთ-ერთ

მთავარ მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენს წარმოების გაფართოებისათვის. სტაბილური საექსპორტო ბაზრის გაჩენა და მისი ეტაპობრივი ათვისება დარგის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამასთანავე, მეფუტკრეები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული პერსპექტივის რეალიზაცია შეუძლიათ შედარებით უფრო მსხვილ საწარმოებს, რადგან ევროკავშირში ექსპორტისათვის განსაზღვრული სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება რთულია და მცირე მწარმოებლები მას ვერ უმკლავდებიან. მიუხედავად იმისა, რომ მეფუტკრეების უმრავლესობას მიმდინარე ეტაპზე არ აქვს ევროკავშირში ექსპორტის გეგმები, ევროკავშირის ბაზრის გახსნამ უკვე მოახდინა დადებითი გავლენა თაფლის უვნებლობაზე არსებული მოთხოვნების შესახებ მეფუტკრეების ინფორმირების დონეზე, ქვეყანაში უვნებელი თაფლის წარმოების შესახებ ცოდნის გაუმჯობესებაზე და თაფლის ლაბორატორიული კვლევების ხელმისაწვდომობაზე. ექსპორტის მიზნით მეფუტკრეების კოოპერაციის მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს მეფუტკრეებს შორის ნდობის ნაკლებობა წარმოებული თაფლის უვნებლობის შესახებ, შესაბამისი დანადგარების არ ქონა და რეგიონში ლაბორატორიულ კვლევებთან წვდომის ნაკლებობა. მცირე მასშტაბის წარმოებასთან ერთად, ევროკავშირში ექსპორტის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორებია სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვა, შედარებით მსხვილი ექსპორტიორების მიერ მეფუტკრეებისგან თაფლის შესყიდვის დაბალი ფასები, ფალსიფიცირებული თაფლის წარმოების შემთხვევები, ფუტკრის დაავადებების შესაბამისი მედიკამენტებით მკურნალობის შესახებ ცოდნის და ინფორმაციის ნაკლებობა, ღია ტუალეტები და ბოსლები.

მეფუტკრეების ნაწილი მიიჩნევს, რომ მომავალში, წარმოების ზრდის კვალდაკვალ, შესაძლოა დაინტერესდნენ ევროკავშირში ექსპორტის პერსპექტივით. ჯერ-ჯერობით, ევროკავშირის ბაზარზე რაჭაში წარმოებული თაფლის ექსპორტზე გატანას მხოლოდ ერთი საწარმო და ერთი კოოპერატივი ახორციელებენ, რაც შესაძლებელი გახდა დონორი ორგანიზაციების მიერ ლაბორატორიული კვლევების დაფინანსების და გერმანელი და იტალიელი ექსპერტების ინტენსიური კონსულტაციების შედეგად.

ევროკავშირთან ვაჭრობის პერსპექტივების რეალიზაციის მიზნით, ერთ-ერთი კოოპერატივი გეგმავს ბიონარმოებაზე გადასვლას. ამისათვის მან მოიპოვა დონორი ორგანიზაციის გრანტი, რითაც შეიძინა დანადგარები და სკები. გრანტის პირობების შესაბამისად, კოოპერატივის ვალდებულებაა უზრუნველყოს თაფლის ბიოსერტიფიცირების პროცესი, მოაწიოს შესაბამისი სტანდარტების საწარმოო სათავსო, უზრუნველყოს დასახლებული პუნქტებიდან, ფერმებიდან, საწარმოებიდან და მეურნეობებიდან 3-4 კილომეტრის მოშორებით, შესაბამის გარემოში თაფლის წარმოება.

2.3. სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესის მიმდინარეობა და მეფუტკრეების ინფორმირებულობა

გამოკითხული საჯარო სამსახურების წარმომადგენლების აზრით, ბოლო წლებში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მომხმარებელთა ინტერესების დაცვისა და სურსათის უვნებლობის თანამედროვე მოთხოვნების დაწესების მიმართულებით. დაინერგა ახალი რეგულაციები, მიმდინარეობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესი. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და ფიტოსანიტარიის კუთხით გატარებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ბაზარზე ვითარების გაჯანსაღებას და ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად, სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ფლობს საერთაშორისო აკრედიტაციას ISO 17025-ის მიხედვით და დანერგილი აქვს ISO 9001:2015 მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემა. დღეისათვის ლაბორატორიას ათვისებული აქვს ნორმატიულ აქტებში (უკვე ძალაში შესული ან ახლო მომავალში ძალაში შესასვლელი) მოცემული მაჩვენებლების გამოცდის მეთოდები.

საქართველოში 2023 წლიდან დაიწყება პირველადი წარმოებების და მეფუტკრეების კონტროლი სურსათის უვნებლობის კუთხით. „ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ოქტომბრის # 483 დადგენილებაში 2021 წლის 15 ოქტომბერს შეტანილი ცვლილების შესაბამისად, 2023 წლიდან ამოქმედდება საფუტკრე მეურნეობის რეგისტრაციისა და ფუტკრის იდენტიფიკაციის სპეციალური წესი, რომლის შედეგადაც ყველა მეფუტკრე დარეგისტრირდება ბიზნეს ოპერატორად და თითოეულ საფუტკრეს ექნება თავისი კოდი.

რაჭაში მოქმედ მეფუტკრეებთან ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მეფუტკრეების უმრავლესობა მხოლოდ ნაწილობრივ არის ინფორმირებული სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესის და შესაბამისი მოთხოვნების შესახებ. ინტერვიუების დროს მხოლოდ ერთმა მეფუტკრემ და კოოპერატივის ერთმა წარმომადგენელმა განაცხადეს, რომ სრულად ფლობენ ინფორმაციას ჰარმონიზაციის პროცესის შესახებ და სისტემატურად იღებენ ცნობებს საკანონმდებლო თუ მარეგულირებელი სიახლეების ირგვლივ. კოოპერატივის წარმომადგენლის განცხადებით, რეგულარულად იღებენ შეტყობინებებს განახლებული დებულებების შესახებ, ასევე ინტენსიურად თანამშრომლობენ გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თავლის გადამამუშავებელ საწარმოში ISO სტანდარტის დანერგვასთან დაკავშირებით. მიღებული საკანონმდებლო აქტებიდან, რაჭაში მოქმედი მეფუტკრეები ყველაზე მეტად „თაფლის ტექნიკურ რეგლამენტს“ იცნობენ.

სურსათის უვნებლობის შესახებ ინფორმაციას მეფუტკრეები ყველაზე ხშირად თავიანთი კოლეგებისაგან იღებენ. აღინიშნა, რომ ინფორმაცია საკანონმდებლო და მარეგულირებელი სიახლეების შესახებ მეფუტკრეებს შორის ყველაზე სწრაფად ვრცელდება. გარდა ამისა, ინფორმაციის მიღების მთავარი წყაროებია ინტერნეტი და სოციალური ქსელები, ასევე შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გავრცელებული ინფორმაცია. მიმდინარე ეტაპზე შედარებით ნაკლებია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სურსათის უვნებლობის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. ამასთან ერთად, სურსათის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი სამსახური რეგულარულად იღებს თავლის ნიმუშებს ლაბორატორიაში გასაგზავნად. იმ შემთხვევაში, თუ თავლს დაუდგინდება ხარვეზი, სააგენტოს წარმომადგენლები უხსნიან მეფუტკრეებს ხარვეზის მიზეზს და აძლევენ კონსულტაციას მისი აღმოფხვრისათვის.

მეფუტკრეები აღნიშნავენ, რომ საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ რაჭის რეგიონში ჩატარებული ტრენინგები სასარგებლო იყო ინფორმაციის და ცოდნის მიღების თვალსაზრისით. ასეთი სახის ღონისძიებებზე ძირითადად იღებდნენ ინფორმაციას აკრძალული სამკურნალო პრეპარატების შესახებ, ასევე რჩევებს აპრობირებული და ეფექტური პრეპარატების გამოყენების ირგვლივ. რამდენიმე მეფუტკრემ აღნიშნა, რომ მიღებული ცოდნის და ინფორმაციის შედეგად ანტიბიოტიკების გამოყენება ფუტკრის დაავადებების სამკურნალოდ ფაქტურად შეწყვეტილია და მეფუტკრეები სარგებლობენ დაშვებული სამკურნალო პრეპარატებით. მეფუტკრეების აზრით, ტრენინგები რეგულარულად უნდა ტარდებოდეს. ბოლო პერიოდში ტრენინგები არ ჩატარებულა, ან გამოკითხულ მეფუტკრეებს არ ქონდათ ინფორმაცია მათ შესახებ.

ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ინტენსიურად თანამშრომლობენ კოოპერატივები და თაფლის გადამამუშავებელი საწარმოები. ამბროლაურში მოქმედი კოოპერატივის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სააგენტოს ადგილობრივი სამსახური სისტემატურად აკონტროლებს კოოპერატივის თაფლის გადამამუშავებელ საწარმოს. თავის მხრივ საწარმო რეგულარულად მიმართავს სააგენტოს ადგილობრივ სამსახურს შესაბამისი შეკითხვებით და იღებს კვალიფიციურ პასუხებს. რაც შეეხება მეფუტკრეებს, მათი თანამშრომლობა სააგენტოსთან ძირითადად შემოიფარგლება თაფლის ნიმუშების აღებით, ლაბორატორიაში გაგზავნით და ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი კონსულტაციების მიღებით. ამავე დროს, გამოკითხული მეფუტკრეებიდან რამდენიმეს საერთოდ არ ქონია შეხება სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან. აღნიშნულის მიზეზად მათ დაასახელეს ის ფაქტები, რომ მათი თაფლი გასაყიდად მაღაზიაში არ ხვდება, ასევე არ გეგმავენ თაფლის ექსპორტს და შესაბამისად სააგენტო მათ საქმიანობას არ აკონტროლებს. ერთმა მეფუტკრემ აღნიშნა, რომ უფრო ხშირად ინფორმაციას იღებს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო ცენტრიდან.

2.4. ევროკავშირთან დაახლოებული კანონმდებლობის აღსრულების პროცესის მიმდინარეობა

საჯარო სამსახურების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები ჰარმონიზაციის პროცესს ახორციელებენ მუდმივი განვითარების და საერთაშორისო მოთხოვნების მაქსიმალური შესრულების რეჟიმში. აღინიშნა, რომ სურსათის უვნებლობა პირდაპირ კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ქვეყნის კეთილდღეობასთან, სოფლის მეურნეობის, ბიზნესის და ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან.

ხაზი გაესვა, რომ ცნობადობის ამაღლებას სურსათის უვნებლობის კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ რიგში ჯანმრთელობის დაცვის, ასევე კონკურენტუნარიანი, უვნებელი და ხარისხიანი პროდუქციის საწარმოებლად. საუკეთესო შედეგის მიღწევა შესაძლებელია გუნდური მუშაობით, სადაც სახელმწიფოსთან ერთად ჩართულია ყველა რგოლი.

მიმდინარე ეტაპზე, ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, სურსათის უვნებლობის სფეროში კვლევის პარამეტრების რაოდენობა დიდია. აღსანიშნავია, რომ მატულობს ბაზარზე ახალი პესტიციდებისა და ვეტერინარპრეპარატების გამოყენება. დღეისათვის, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში, თაფლის კვლევა მიმდინარეობს დაახლოებით 120 პარამეტრზე, დამადასტურებელი მეთოდის („რეფერენს“ მეთოდი) გამოყენებით. ასევე შესაძლებელია კვლევისათვის „სკრინინგ“ მეთოდის გამოყენება, რომელიც დროის მოკლე მონაკვეთში რამდენიმე პარამეტრზე ერთდროულად დამაბინძურებლების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. „სკრინინგ“ მეთოდის გამოყენება თაფლის კვლევებში დაახლოებით 50 პარამეტრზე მიმდინარეობს.

ზოგადად, ჰარმონიზებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია რთულია როგორც მაკონტროლებელისათვის, ასევე კერძო სექტორისათვის. სწორედ ამიტომ არსებობს გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება.

კერძო სექტორის ინტერესების დაცვის თვალთახედვით, აღსრულების მიმართულებით, არის შემთხვევები, როდესაც სურსათის ეროვნული სააგენტოს გაცემული რეკომენდაციების შესრულება არარეალურია და შესაძლოა გამოიწვიოს ბიზნეს საქმიანობის შეჩერება. აქ გამოსავალი შეიძლება იყოს მხოლოდ „ნითელი განგაშის“ დარღვევებზე რეაგირება და საწარმოებისათვის ისეთი მოთხოვნების წაყენების თავიდან აცილება, რომლებიც საწარმოს დახურვას ან მისი ოპერირების შეზღუდვას გამოიწვევს. საჯარო და კერძო სექ-

ტორების საერთო მიზანს უნდა წარმოადგენდეს არსებული სიტუაციის გაუმჯობესება და გაჯანსაღება. ამისათვის შეიძლება უპრიანი იყოს შესაბამისი დონის და ზომის საწარმოებისათვის შესაბამისი ვალდებულებების დაწესება.

ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა მეფუტკრეების დაინტერესება თაფლის ლაბორატორიული კვლევების მიმართ. დაინტერესებულ პირებს სახელმწიფო შესაძლებლობას აძლევს მიიღონ უმაღლესი ხარისხის ლაბორატორიული კვლევები სურსათის უვნებლობის სფეროში, რაც იძლევა წარმოებული პროდუქტის რეგულარულად და დროულად შემოწმების შესაძლებლობას. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია საერთაშორისოდ აკრედიტირებულია და მისი მომსახურება ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. ლაბორატორიაში ევროკავშირში არსებული პრაქტიკის შესაბამისი თაფლის კვლევების სრული სპექტრის დანერგვა ხორციელდება. დღეისათვის თაფლის კვლევის მიმართულებით, სურსათის კვლევის დეპარტამენტში დანერგილია 32 მეთოდი, რომელიც მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ასევე უვნებლობის პარამეტრებს. ამ ეტაპისათვის გეგმიურად გრძელდება ახალი კვლევების მეთოდების იმპლემენტაციის პროცესი. თუმცა რეგიონებში და რაიონებში ლაბორატორიული მომსახურების მიღება გამოწვევას წარმოადგენს და შესაბამის ხარჯებთან არის დაკავშირებული.

თაფლის პირველად წარმოებაში ჯერ-ჯერობით გამოწვევად რჩება აკრძალული პრეპარატების გამოყენება, ასევე დაშვებული სამკურნალო პრეპარატების არასწორად გამოყენება. პრობლემას წარმოადგენს ცნობიერების ნაკლებობა და თანამედროვე მიდგომების არ ცოდნა. შესაბამისად, გამოწვევები უფრო მეტად თაფლის პირველად მწარმოებლებში არის, ვიდრე გადამამუშავებელ საწარმოებში, რომლებიც უფრო მომზადებული და გათვითცნობიერებულები არიან, მეტად იციან არსებული მოთხოვნები, რასაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ბიზნესოპერატორად აღიარების დანერგვამ, რაც ნიშნავს საწარმოს საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას. პარალელურად მიმდინარეობს არსებული თაფლის გადამამუშავებელი საწარმოების დაახლოება ევროკავშირის მოთხოვნებთან, ინერგება HACCP სტანდარტები, თუმცა ამ მხრივ კიდევ ბევრია სამუშაო.

პირველად მწარმოებლებს შედარებით უჭირთ არსებული მოთხოვნების შესრულება ფინანსური, ადმინისტრაციული რესურსების და ცოდნის ნაკლებობის გამო. საქართველოს მასშტაბით, მათთვის პრობლემას წარმოადგენს შხამქიმიკატები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში გამოიყენება და აზიანებს თაფლის ხარისხს. ასევე არ არის გამოყოფილი ფუტკრის სამთაბარო ზონები და მეფუტკრეებს არ აქვთ ინფორმაცია გარშემო გამოყენებული შხამქიმიკატების შესახებ. ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, ნაბლის თაფლის შემთხვევაში, რომელიც ერთ-ერთი კონკურენტული სახეობაა საქართველოში, 7 კილომეტრის რადიუსში არ უნდა იყოს შენამვლის ობიექტები, თუმცა აღნიშნულის ადმინისტრირება თავისთავად პრობლემატურია. შესაბამისად, როგორც მეფუტკრეებს, ასევე სხვა ფერმერებს ჭირდებათ ტექნიკური დახმარება და განათლება, რომ შესაბამისი მოთხოვნების დაცვით აწარმოონ პროდუქცია და ანგარიში გაუწიონ სხვა ფერმერებს, მათ შორის მეფუტკრეებს.

საჯარო სამსახურების წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად დაახლოებით 650 ხელშეკრულებას აფორმებს ვეტერინარებთან და ვეტერინარების დამხმარე სპეციალისტებთან, რეგიონებში მაინც პრობლემას წარმოადგენს ვეტერინარების ნაკლებობა.

შესაბამისად, რესპოდენტების აზრით, ფინანსური, ინტელექტუალური და სხვა სახის ტექნიკური დახმარება ძირითადად მიმართული უნდა იყოს თაფლის პირველად მწარმოებლებზე. უნდა გააქტიურდეს ცოდნის გადაცემა თაფლის პირველადი წარმოების თანამედ-

როვე მიდგომებზე, ფუტკრის დაავადებების მკურნალობის მეთოდებზე და სამკურნალო პრეპარატებზე, მათ შორის შესაბამისი ბროშურების, ლიფლეტების, სახელმძღვანელოების შემუშავების და ხელმისაწვდომობის გზით.

ევროკავშირთან დაახლოებული კანონმდებლობის აღსრულების პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები:

- ✘ სურსათის უვნებლობის ეროვნულ სააგენტოს არ ყოფნის საკადრო რესურსი: სააგენტოში მუშაობს 94 ინსპექტორი. მაგალითისათვის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონს 3 ინსპექტორი ემსახურება;
- ✘ საჭიროა სურსათის უვნებლობის სპეციალისტების შემდგომი გადამზადება. რამდენადაც სრულყოფილი არ უნდა იყოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით მიღებული ნორმატიული დოკუმენტი, ადგილებზე კვალიფიციური აღსრულების გარეშე პრობლემები ვერ მოგვარდება;
- ✘ მიუხედავად იმისა, რომ სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო ახორციელებს მიზნობრივი ჯგუფების აქტიურ ინფორმირებას ახალი კანონმდებლობის დანერგვის პროცესში, კერძო სექტორის განათლების და ცოდნის დონე პრობლემად რჩება; მეფუტკრეობის დარგში ასევე გამოწვევაა მეფუტკრეობის და თაფლის წარმოების თანამედროვე მიდგომების შესახებ ზოგადი ცნობიერების დაბალი დონე;
- ✘ ბოლო დრომდე ხდებოდა თაფლის ლაბორატორიული შემოწმება და აქტივობები ძირითადად ამით შემოიფარგლებოდა, თუმცა მნიშვნელოვანია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ თაფლის წარმოების მთელი პროცესის მონიტორინგი;
- ✘ გამოწვევას წარმოადგენს სკების რეგისტრაცია და აღნიშნული მიმართულებით საინტერესოა შედარებით წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება;
- ✘ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების მიერ შექმნილი მეფუტკრეების რეესტრის მოწესრიგება და სრულყოფა, რაც სააგენტოს მნიშვნელოვნად დაეხმარება ინსპექტირებაში და ბიზნეს ოპერატორების მოცვაში. აღსანიშნავია, რომ რეესტრის მოწესრიგება ხელს შეუწყობს სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული სამსახურების მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას, რომლებიც დღეს არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე მოქმედი მეფუტკრეების შესახებ.
- ✘ პრობლემას წარმოადგენს არარეგისტრირებული ფუტკრის დაავადებების სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის შეტყობინება, რომელთა შესახებაც სახელმწიფოსაც არ აქვს ინფორმაცია. მეფუტკრეები ძირითადად არ ახდენენ შეტყობინებას და მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, კვლავ არის დაავადებების არასწორად მკურნალობის შემთხვევები.

გამოკითხული მეფუტკრეების აზრით, დაახლოებული კანონმდებლობის აღსრულება და შესაბამისი მოთხოვნების შესრულება ნელი ტემპით მიმდინარეობს. არსებული მოთხოვნების სრულად დასაწერად მეფუტკრეები მზად არ არიან. მათ აკლიათ თეორიული ცოდნა და შესაბამისი ინვესტიციების განსახორციელებელი სახსრები, თუმცა სხვადასხვა სახის პროგრამული მხარდაჭერის მიღების შედეგად ეტაპობრივად წერგავენ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს თავიანთ მეურნეობებში. მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეინიშნება ფუტკრის დაავადებების დაშვებული მედიკამენტებით მკურნალობის მხრივ, თუმცა კვლავ არის ცოდნის ნაკლებობა გარკვეული დაავადებების (მაგალითად ვაროატომი) ეფექტურად მკურნალობის შესახებ. აღინიშნა, რომ ვაროატომის ძველებური მეთოდებით მკურნალობა სხვა დაავადებების გაჩენას იწვევს, შესაბამისად საჭიროა მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, რაც მოითხოვს შესაბამისი ცოდნის დაუფლებას

და გავრცელებას. რამდენიმე მეფუტკრემ აღნიშნა, რომ ნაკლები ცოდნა აქვთ ეფექტური მედიკამენტების შესახებ და ამ მხრივ მეტი ინფორმაციის მიღების სურვილი გამოთქვა. შედარებით ნაკლები პროგრესია თაფლის შესახებ შესაბამისი ჭურჭლის გამოყენების და წარმოებული თაფლის ეტიკეტირების მიმართულებით. რაჭაში მოქმედი მეფუტკრეები აღნიშნავენ, რომ სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება რთულია, თუმცა ხაზს უსვამენ, რომ სირთულეების მიუხედავად არსებობს კონსენსუსი შესაბამისი მოთხოვნების დანერგვის საბოლოო სარგებლიანობის შესახებ.

თაფლის წარმოების თანამედროვე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მეფუტკრეებს ჭირდებათ უფრო ინტენსიური მხარდაჭერა შესაბამისი დანადგარების (ციბრუტი, დასაკუპაჟებელი აპარატი და სხვა საშუალებები) შესაძენად. ისინი რეგულარულად ცდილობენ გამოიყენონ სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების კერძო სექტორის მხარდამჭერი პროგრამები დანადგარების შესაძენად და გასახლებლად, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც მათი განაცხადები არ კმაყოფილდება.

რაჭაში მოქმედი მეფუტკრეების აზრით წარმოებული თაფლის ხარისხზე შემდეგი ძირითადი ფაქტორები ახდენს გავლენას:

- ✘ ჯანსაღი და სუფთა ბუნებრივი გარემო
- ✘ დაშვებული ვეტერინარული პრეპარატების სწორად და კომპეტენტურად გამოყენება
- ✘ მოვლილი სკები, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა
- ✘ კომპეტენტური და განათლებული მეფუტკრეები
- ✘ თაფლის გადამუშავების ხარისხიანი დანადგარები
- ✘ ფუტკრის სწორად კვება

მეფუტკრეებისათვის ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით რაჭაში კვლავ პრობლემატურია სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სხვადასხვა შხამ-ქიმიკატები, გამონაბოლქვი, სასარგებლო წიაღისეული, ღია ტუალეტები, სანაკელები, ინფრასტრუქტურული სამუშაოები, როგორცაა ასფალტის დაგება.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ფაროსანას შენამვლის სამუშაოების ფუტკარზე შესაძლო მავნე ზეგავლენის შესახებ მეფუტკრეების აზრი ორად იყოფა. ნაწილი ფუტკრის ოჯახების გარკვეული რაოდენობის განადგურებას აღნიშნულ შენამვლას აბრალებს, ხოლო ნაწილს მიაჩნია, რომ ეს ფუტკრის დაავადებების გამო მოხდა და დროში დაემთხვა ფაროსანას წინააღმდეგ მიმდინარე ღონისძიებებს.

გამოკითხული მეფუტკრეებს თაფლის ექსპორტის მცდელობა არ ექონიათ. ექსპორტის გამოცდილება მხოლოდ ამბროლაურში მდებარე კოოპერატივს და თაფლის გადამამუშავებელ საწარმოს აქვთ. რაც შეეხება საექსპორტო გეგმებს, მეფუტკრეების ნაწილი გეგმავს წარმოების ზრდას და ექსპორტზე გასვლას, ხოლო ნაწილს ასეთი გეგმები საშუალოვადიან პერსპექტივაში არ აქვს. ზოგი მიიჩნევს, რომ საექსპორტო კონკურენტუნარიანობისათვის საჭიროა ბიო თაფლის წარმოებაზე გადასვლა, რომლის საექსპორტო ფასიც გაცილებით მაღალია. მიმდინარე ეტაპზე ერთი კოოპერატივი არის ბიო წარმოებაზე გადასვლის პროცესში პროექტ GRETA-ს მხარდაჭერით, ხოლო დანარჩენი მსურველები ამას ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებენ. ასევე აღინიშნა, რომ როდესაც ხდება საექსპორტოდ თაფლის სხვადასხვა მეფუტკრისგან შესყიდვა კოოპერატივის მიერ, შესასყიდი ფასი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მეფუტკრეების მიერ დადგენილ სარეალიზაციო ფასს. შესაბამისად, მეფუტკრეებს არ აქვთ საექსპორტოდ თაფლის ჩაბარების მოტივაცია.

2.5. სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერა მეფუტკრეობის საქმორისათვის

სახელმწიფო პროგრამა „ანარმოე საქართველოში“ მიკრო გრანტების კომპონენტის ფარგლებში რაჭაში მეფუტკრეობის სექტორის მხარდასაჭერად გაცემულია მხოლოდ ოთხი გრანტი. აქედან 3 გრანტი გაცემულია მეფუტკრეობის სექტორზე, ხოლო ერთი - სკების დამზადებაზე. აღსანიშნავია, რომ ოთხივე გრანტის ბენეფიციარი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში საქმიანობს და ონის მუნიციპალიტეტში მიკრო გრანტები მეფუტკრეებს არ მიუღიათ.

რაც შეეხება სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერის პროგრამებს, მეფუტკრეობის სექტორში შეღავათიანი აგროკრედიტის კომპონენტის ფარგლებში მხარი დაეჭირა ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტებში მოქმედ თითო-თითო კოოპერატივს. აღსანიშნავია, რომ ორივე კოოპერატივმა აღნიშნული კომპონენტით მხარდაჭერა ორჯერ მიიღო: ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე კოოპერატივმა 2015 და 2017 წლებში, ხოლო ონის მუნიციპალიტეტში არსებულმა კოოპერატივმა - 2016 და 2018 წლებში. აღნიშნული შესაძლოა უკავშირდებოდეს პირველად მიღებული მხარდაჭერის მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებას, კოოპერატივების სიცოცხლისუნარიანობას და შემდგომი განვითარების პერსპექტივებს.

შედარებით მეტი ბენეფიციარი ყავდა „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამას“ 2016-2017 წლებში. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მხარდაჭერა გაენია 15 კოოპერატივს, ხოლო ჯამურმა თანხამ შეადგინა 149 190 ლარი. ონის მუნიციპალიტეტში მხარდაჭერა გაენია 15 კოოპერატივს, ხოლო ჯამურმა თანხამ შეადგინა 103 399 ლარი. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში ხორციელდებოდა მეფუტკრეობის კოოპერატივების მიერ ფუტკრის სკების, თაფლის საწურების და შესანახი ავზების შექმნის თანადაფინანსება.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ბენეფიციარმა თაფლის წარმოების დანადგარები ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შეიძინა.

სააგენტოს „ანარმოე საქართველოში“ მიკროგრანტების კომპონენტში კონკურსში საბოლოო გამარჯვების შემდეგ ბენეფიციარი ვალდებულია დარეგისტრირდეს ინდივიდუალურ მწარმედ. სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნები თაფლის მწარმოებლებისათვის მიკროგრანტების კომპონენტს არ აქვს.

სოფლის განვითარების სააგენტო მე-2 წელია მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამას აღარ ახორციელებს. წინა პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა კოოპერატივების მხარდაჭერა, რის შედეგადაც რამდენიმე ბენეფიციარი წარმატებით საქმიანობს.

სახელმწიფო სააგენტოების წარმომადგენლების აზრით, სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობა შემდეგ გამოწვევებთან არის დაკავშირებული:

- ✘ საპროექტო განცხადების შევსების და ბიზნეს გეგმების დაწერის სირთულე - მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო განაცხადების ფორმა რთული არ არის, ფერმერებს ჭირდებათ მხარდაჭერა მათ შესავსებად. მათ ჭირდებათ გამოცდილი პირების და ორგანიზაციების კონსულტაცია და დახმარება, რიგ შემთხვევებში გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. აღნიშნულ მხარდაჭერას შესაძლოა უზრუნველყოფდნენ შესაბამისი გამოცდილების მქონე ფიზიკური პირები ან საკონსულტაციო კომპანიები.
- ✘ ცნობადობის ნაკლებობა სახელმწიფო პროგრამების შესახებ - მიუხედავად ამ მიმართულებით გატარებული ქმედებებისა, ჯერ-ჯერობით ყველა პოტენციურ ბენეფიციარამდე ინფორმაცია არ მიდის. შედეგად, მეწარმეები გვიან იგებენ პროგრამების შესახებ, არ წარადგენენ განაცხადებს ან აგვიანებენ მათ შევსებას. აღნიშნული მიმართულებით

სასარგებლო იქნება მუნიციპალიტეტების უფრო აქტიური ჩართვა სახელმწიფო პროგრამების პოპულარიზაციის მიმართულებით და სოფელ-სოფელ კამპანიის ჩატარება.

რაჭაში მოქმედი მეფუტკრეების და კოოპერატივების წარმომადგენლების აზრით სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობა შემდეგ სირთულეებთან არის დაკავშირებული:

- ✘ პროგრამები არ ითვალისწინებს ცოცხალი აქტივების და სატრანსპორტო საშუალებების დაფინანსებას და რიგ შემთხვევებში რთულია მოარგო ბიზნესის საჭიროებებს
- ✘ აპლიკაციის და ანგარიშგების რთული მოთხოვნები
- ✘ ბენეფიციარების შერჩევის არასწორი პრინციპი: მსხვილ მენარმეებს, რომლებსაც მეტი საშუალება აქვთ შეიძინონ აუცილებელი ტექნიკა უფრო მეტად ეხმარებიან, ვიდრე მცირე მენარმეებს.

ინტერვიუების დროს რამდენიმე მეფუტკრემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო პროგრამებით ნაწილში პრობლემებს ვერ ხედავენ, მათთვის მისაღები და გასაგებია პირობები და რაიმეს შეცვლის ან გამოსწორების საჭიროებას არ დგას.

რაჭაში მოქმედი მეფუტკრეების აზრით, იმისათვის, რომ სახელმწიფო პროგრამები უკეთ მოერგოს მათი და თაფლის საწარმოების საჭიროებებს, სასურველი იქნება შემდეგ საკითხებზე ყურადღების გამახვილება:

- ✘ აქცენტი უნდა გაკეთეს პირველადი წარმოების გაფართოებაზე და მცირე საფუტკრეების გამსხვილებაზე, სამრეწველო გაერთიანებების შექმნისთვის უნდა განხორციელდეს მიზნობრივი დაფინანსებები; ამასთანავე, აღნიშნულის საპირისპიროდ, ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ სასურველია სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციარების რაოდენობის გაზრდა ერთ ბენეფიციარზე გასაცემი მხარდაჭერის ოდენობის შემცირების გზით.
- ✘ თაფლის წარმოების თანამედროვე ინვენტარის შეძენის თანადაფინანსება;
- ✘ მხარდამჭერი სააგენტოების მიერ განხორციელდეს პირველადი მონიტორინგი სოფლებში არსებული საჭიროებებზე ამომწურავი ინფორმაციის მიღების მიზნით;
- ✘ სახელმწიფო პროგრამების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის პრო-აქტიურად გავრცელება, რაც აამაღლებს მეფუტკრეების სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის მოტივაციას;
- ✘ მუნიციპალიტეტებში ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრების შექმნა, რომლებიც დაეხმარება მეფუტკრეებს საპროექტო განაცხადის შევსებაში;
- ✘ კონტროლის გამკაცრება ბენეფიციარების მიერ მიღებული მხარდაჭერის მიზნობრივად გამოყენებაზე, არამიზნობრივი დაფინანსების შემცირების და პროგრამების შედეგიანობის გაუმჯობესების მიზნით;
- ✘ განაცხადის და ანგარიშგების ფორმების გამარტივება;
- ✘ მეფუტკრეების მიერ დედა ფუტკრების შეძენის თანადაფინანსება.

2.6. მეფუტკრეების და თაფლის საწარმოების ინფორმირება და მათი უნარების გაძლიერება სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დანერგვის კუთხით

საჯარო სამსახურების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო, დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციები რეგიონებში აწევენ შეხვედრებს მეფუტკრეებთან მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით. მათი აზრით ეს აქტივობები ნაკლებ შედეგიანია, რადგან მეფუტკრეებისათვის არ არის საკმარისი მოკლევადიანი სწავლებები და არსებობს უფრო კომპლექსური სწავლების საჭიროება. ანალოგიურად ტარდებოდა მოკლევადიანი საინფორმაციო შეხვედრები სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონულ თანამშრომლებთან, თუმცა ამ მიმართულებიდან უფრო საფუძვლიანი სწავლების საჭიროება იკვეთება.

ინტერვიუების დროს ხაზი გაესვა, რომ დღეისათვის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ინსტიტუტები მაქსიმალურად უწყობენ ხელს ბიზნესოპერატორებსა და დაინტერესებულ პირებს, ადგილზე მიიღონ საერთაშორისო დონის მომსახურება, იქნება ეს უმაღლესი ხარისხით აკრედიტებული კვლევები, თუ სხვადასხვა სახის კონსულტაცია.

ასევე აღინიშნა, რომ აგრარული უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში ფუტკრის დაავადებები ახალი შესულია და აქამდე ფუტკრის დაავადებებს მომავალი ვეტერინარები არ სწავლობდნენ. საჭიროა ახალი სასწავლო პროგრამის საშუალებით ამ დანაკლისის სწრაფად შევსება.

საჯარო და არასამთავრობო სექტორებთან ინტერვიუების დროს, ხაზი გაესვა მეფუტკრეებისა და თაფლის საწარმოების ინფორმირებისა და უნარების გაძლიერებისათვის საჭირო შემდეგ აქტივობებს:

- ✦ მეფუტკრეებთან შეხვედრების და მათი ტრენინგების ინტენსიფიკაცია საფუტკრეების მოწყობის, კარგი საწარმოო პრაქტიკის დანერგვის, ხარისხიანი და უსაფრთხო პროდუქციის წარმოების საკითხებზე. ასევე საჭიროა მეფუტკრეებმა კარგად გაითავისონ გაუმჯობესებული ხარისხის თაფლის წარმოების შედეგად მისაღები პოტენციური სარგებელი;
- ✦ მომხმარებლების ცნობიერების გაუმჯობესება, რადგან მათ მიერ უვნებელი და ხარისხიანი თაფლის მოთხოვნა დამატებითი სტიმული იქნება მეფუტკრეებისათვის გაზარდონ ხარისხიანი თაფლის წარმოება. ევროკავშირში მომხმარებელი ძალიან მოთხოვნია და საჭიროა ქართველი მომხმარებლების მოთხოვნების ეტაპობრივი ამაღლება;
- ✦ უნდა მოხდეს მეფუტკრეების აქტიური ინფორმირება მათ სამოქედო ტერიტორიებზე მოქმედი ვეტერინარების შესახებ, რომლებსაც შეიძლება მიმართონ რჩევებით და იხელმძღვანელონ მათი მითითებებით.

2.7. რაჭაში მოქმედი მეფუტკრეების მთავარი გამოწვევები

მეფუტკრეებთან ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ მთავარ გამოწვევებს წარმოადგენს

- ✦ თანამედროვე აღჭურვილობის არ ქონა
- ✦ ცოდნის ნაკლებობა სურსათის უვნებლობის მოთხოვნების შესახებ
- ✦ ცოდნის ნაკლებობა სამკურნალო პრეპარატების და მკურნალობის მეთოდების შესახებ

შედარებით ნაკლებ გამოწვევებს წარმოადგენს

- ✘ პროდუქციის რეალიზაცია
- ✘ სერტიფიცირება

სურსათის უვნებლობის მოთხოვნების მიმართულებით მთავარ პრობლემას წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობა.

თანამედროვე აღჭურვილობის მიმართულებით მთავარ პრობლემას წარმოადგენს შესაბამისი დანადგარების (ციბრუტი, თაფლის ამრევი, ჩამოსასხმელი, სტაბილიზატორი) სიძვირე. მეფუტკრეებს არ აქვთ საშუალება ინდივიდუალურად შეიძინონ დანადგარები და ჭირდებათ მიზნობრივი მხარდაჭერა.

სამკურნალო პრეპარატების და მკურნალობის მეთოდების მიმართულებით აღინიშნა, რომ არის შემთხვევები, როდესაც ხდება უხარისხო ვეტერინარული პრეპარატების რეკლამირება. რამდენიმე მეფუტკრემ აღნიშნა, რომ ვერ იგებენ ინფორმაციას საზღვარგარეთიდან იმპორტირებული პრეპარატების შესახებ, რადგან შესაბამისი ინფორმაცია უცხო ენაზე არის მითითებული.

პროდუქციის რეალიზაციის კუთხით აღინიშნა, რომ რაჭაში არიან მეფუტკრეები, რომლებსაც აქვთ რეალიზაციის პრობლემა. ასევე ხაზი გაესვა, რომ წარმოების მასშტაბების ზრდის შემთხვევაში, ზოგიერთ მეფუტკრეს შეიძლება დაუდგეს რეალიზაციის პრობლემა.

სერტიფიცირების მიმართულებით აღინიშნა, რომ ბიო თაფლის წარმოებაზე გადასვლას შესაბამისი ცოდნა და ძალისხმევა ჭირდება. მეფუტკრეები განიცდიან შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობას. რამდენიმე მეფუტკრეს ბიო სერტიფიკატის აღება მიაჩნია წარმოების მოცულობის ზრდის და ექსპორტის პერსპექტივების რეალიზაციის მთავარ იარაღად.

ინფორმაციის და ცოდნის დანაკლისის შევსების მთავარ საშუალებად მეფუტკრეებს ტრენინგები მიაჩნიათ. მათი აზრით უნდა გააქტიურდეს რაჭის რეგიონში შესაბამისი თეორიული ცოდნის ტრენინგები და ასევე უნდა დამკვიდრდეს პრაქტიკული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა. ასეთი გაკვეთილები უნდა ჩატარდეს წარმატებული მეფუტკრეების საფუტკრეებში და შესაძლებელი უნდა იყოს ფუტკრის მოვლის და მკურნალობის, საწარმოო სათავსოების მართვის პრაქტიკული გამოცდილების გაცნობა. ასევე სასურველია, რომ წელიწადში ერთხელ მეფუტკრეებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდონ, თუ რა სიახლეებია სურსათის უვნებლობის მოთხოვნებში. მეფუტკრეებმა აღნიშნეს, რომ ბოლო წლების განმავლობაში ტრენინგები იშვიათად ტარდება, ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით. ასევე აღინიშნა, რომ ყოველ შაბათს, საღამოს 21:00-ზე რამდენიმე წარმატებული მეფუტკრე რეგულარულად აწყობს ონლაინ შეხვედრას, რომელსაც საქართველოს მასშტაბით ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია დაესწროს. აღნიშნული ინიციატივის საშუალებით მსურველები იღებენ სასარგებლო ინფორმაციას და ცოდნას.

ასევე აღინიშნა, რომ მეფუტკრეებს კომუნიკაციის ნაკლებობა აქვთ სურსათის უვნებლობის ადგილობრივ სამსახურთან. ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ადგილობრივი სოფლის მეურნეობის სამსახურების გაძლიერებას და დამატებითი სპეციალისტების მოზიდვას.

გარდა ამისა, ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ სამუშაო შეხვედრებზე მეფუტკრეების და თაფლის მწარმოებლების მიერ შემუშავდა დარგის SWOT ანალიზი, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში:

ცხრილი 3: რაჭაში მეფუტკრეობის დარგის SWOT ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|--|--|
| <ul style="list-style-type: none"> ✘ მეფუტკრეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები/ გარემო; თაფლოვანი მცენარეების სიუხვე | <ul style="list-style-type: none"> ✘ მეფუტკრე-ვეტერინარების ნაკლებობა/ არარსებობა |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ ხარისხიანი თაფლის წარმოების შესაძლებლობა | <ul style="list-style-type: none"> ✘ ვეტერინარული პრეპარატების უკონტროლო რეალიზაცია |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ მომთაბარეობის ხელსაყრელი შესაძლებლობები | <ul style="list-style-type: none"> ✘ ხარისხიანი მედიკამენტების ნაკლებობა |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ მეფუტკრეობის ტრადიციები რეგიონში | <ul style="list-style-type: none"> ✘ ბიო ცვილის არ არსებობა ქვეყანაში |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ მეფუტკრეობაში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება | <ul style="list-style-type: none"> ✘ თანამედროვე ცოდნის ნაკლებობა, განათლების დეფიციტი |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ ინვესტირებისათვის ხელსაყრელი გარემო - რენტაბელობა | <ul style="list-style-type: none"> ✘ მონოფლორული თაფლის არ არსებობა |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ მეფუტკრეობის სექტორით დაინტერესების ზრდა | <ul style="list-style-type: none"> ✘ პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ მეფუტკრეობის დარგი - გაცხადებული სახელმწიფო პრიორიტეტი | <ul style="list-style-type: none"> ✘ ცალკე სპეციალიზირებული ადგილების არარსებობა, სადაც რაჭის მრავალფეროვანი პროდუქციის (მათ შორის თაფლის) წარდგენა მოხდება ტურისტებისათვის და ვიზიტორებისათვის |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ სახელმწიფოს ჩართულობა ბიო სერტიფიცირების მხარდაჭერის მიმართულებით | <ul style="list-style-type: none"> ✘ თაფლის რეალიზაციაში/მარკეტინგში გამოცდილების ნაკლებობა, შესაბამისი ცოდნის არ არსებობა |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ ბიოსერტიფიცირების სიმარტივე | <ul style="list-style-type: none"> ✘ ფუტკრის ოჯახების პასპორტიზაციის და ინსპექტირების არ არსებობა |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ რაჭის რეგიონში თაფლის გადამამუშავებელი საწარმოს არსებობა | <ul style="list-style-type: none"> ✘ მეფუტკრეებს შორის ერთიანი მიდგომების არსებობის ნაკლებობა |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ რეგიონში მაღალი ხარისხის ფუტკრის პროდუქტების მიღების საშუალება | <ul style="list-style-type: none"> ✘ თაფლის მოხმარების დაბალი კულტურა |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ მეფუტკრეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა | <ul style="list-style-type: none"> ✘ მცირე საფუტკრე მეურნეობები |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ ტურისტული რეგიონი და თაფლის რეალიზაციის დამატებითი შესაძლებლობები | <ul style="list-style-type: none"> ✘ ქაოტური მომთაბარეობა; სამომთაბარო გზების არ არსებობა |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ ქართული რუხი ფუტკარი | <ul style="list-style-type: none"> ✘ დაზღვევის არ არსებობა |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ მოგების მაღალი მარჟა | <ul style="list-style-type: none"> ✘ სტაბილური ბაზრის არ არსებობა |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ მეფუტკრეობის დადებითი ზემოქმედება გარემოზე | <ul style="list-style-type: none"> ✘ ლალიანობის მოკლე პერიოდი |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ თაფლოვანი მცენარეების სიუხვე | <ul style="list-style-type: none"> ✘ ბიო ფიჭის არ არსებობა |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ აგროკლუბის არსებობა | <ul style="list-style-type: none"> ✘ საკვები ბაზის სიმცირე |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ თაფლოვანი მცენარეების სიუხვე | <ul style="list-style-type: none"> ✘ ლაბორატორიის არ არსებობა |
| <ul style="list-style-type: none"> ✘ აგროკლუბის არსებობა | <ul style="list-style-type: none"> ✘ თაფლის ფალსიფიკაცია |

| შესაძლებლობები | საფრთხეები |
|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> ✘ საექსპორტო შესაძლებლობები და პერსპექტივები, შესაბამისი შემსყიდველების დაინტერესება ✘ მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების წარმოების გაზრდა ✘ სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის აღსრულება ✘ სახელმწიფოს მიერ მეფუტკრეობის დარგის ხელშეწყობა ✘ თაფლის წარმოების მასშტაბების ზრდა ✘ ბიო ფიტის წარმოების დაწყება ✘ ბიო სერტიფიცირება ✘ ფალსიფიკაციის აღმოფხვრა ✘ აპითერაპიის განვითარება ✘ მეფუტკრეობის გაერთიანება მცირე ასოციაციაში (ონის მუნიციპალიტეტში), რომელიც დაეხმარება მათ არსებული გამოწვევების დაძლევაში (დაავადებული ფუტკრის შემოყვანისგან დაცვა; მარკეტინგი; ვეტ-პრეპარატების შესახებ ინფორმაციის გავრცელება; თანამედროვე ცოდნის, ტექნოლოგიების და გამოცდილების ტრანსფერი) ✘ სადემონსტრაციო მეურნეობის შექმნა ✘ აგროტურიზმის განვითარება ✘ საფუტკრე მეურნეობების დაზღვევის საკითხების მოგვარება ✘ მეფუტკრეობის თანამედროვე მიდგომების და გამოცდილების გაცნობა ✘ ახალგაზრდების უფრო აქტიური ჩართულობა მეფუტკრეობაში | <ul style="list-style-type: none"> ✘ კლიმატის ცვლილება - სიცხე, ყინვები ✘ ინტენსიური აგრო ქიმიის გამოყენება, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ფუტკრის ჯანმრთელობაზე ✘ გარეული ცხოველების (დათვის) თავდასხმები საფუტკრეებზე ✘ უკონტროლო საფუტკრეები - დაავადებების გავრცელების კერა ✘ თაფლის ფალსიფიკაცია ✘ ფუტკრის უკონტროლო შენამვლა ✘ უკონტროლო მთაბარობა ✘ თაფლის იმპორტი ✘ მანგანუმის მოპოვება შქმერში ✘ ფაროსანა და მის წინააღმდეგ გატარებული ზომები ✘ ფუტკრის დაავადებების სიმრავლე |

სამუშაო შეხვედრებზე მეფუტკრეებმა გამოკვეთეს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები, ასევე იმსჯელეს გადაწყვეტის გზებზე:

განათლების დაბალი დონე მეფუტკრეობაში – აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზებია მასწავლებლების და საგანმანათლებლო კურსების ნაკლებობა, ასევე მეფუტკრეების დაინტერესების დაბალი დონე – გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ყველაფერი იცის და არ ინტერესდება შემდგომი განათლებით. პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ გზად მეფუტკრეებს მიაჩნიათ სასწავლო კურსის შემუშავება საქართველოში მოქმედი ყველაზე უფრო კვალიფიციური და ავტორიტეტული სპეციალისტების მიერ. მათი აზრით, მეფუტკრეობის დარგის სპეციალისტების რჩევები და სახელმძღვანელო მითითებები ერთმანეთისგან განსხვავებულია და მეფუტკრეებს უჭირთ დასკვნების გამოტანა, თუ რომელი პრაქტიკით და ტექნოლოგიით იხელმძღვანელონთავიანთ საფუტკრე მეურნეობებში.

ვეტერინარების ნაკლებობა – ვეტერინარების ნაკლებობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია წლების განმავლობაში აღნიშნული პროფესიის მიმართ ინტერესის ნაკლებობა, რასაც დიდწილად განაპირობებდა მეფუტკრეების მხრიდან ვეტერინარების მომსახურებაზე დაბალი მოთხოვნა. ბოლო პერიოდში, ფუტკრის სხვადასხვა დაავადებების გავრცელების პარალელურად, ვეტერინარების მომსახურება უფრო აქტუალური და მოთხოვნადი გახდა. შესაბამისად, ვეტერინარების მომსახურებაზე გარკვეული მოთხოვნა უკვე არსებობს და ამ პროფესიის ადამიანებს შესაძლოა ქონდეთ სტაბილური, ანაზღაურებადი სამსახური.

პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ საშუალებად მეფუტკრეებს მიაჩნიათ სახელმწიფოს მხარდაჭერით შესაბამისი ადამიანების საზღვარგარეთ განათლება და შემდგომ მათი დასაქმება საქართველოს რეგიონებში. მათი შერჩევა უნდა მოხდეს მეფუტკრეობაში არსებული გამოცდილების, შესაბამისი საგანმანათლებლო ინფორმაციის მიღების, გადაშავების და სხვებისათვის გადაცემის უნარების გათვალისწინებით. რაჭაში მოქმედი მეფუტკრეების აზრით, საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შესაძლოა შეირჩინენ 19-დან 25 წლამდე ასაკის გამოცდილი მეფუტკრეების შვილები, რომელთაც აქვთ საოჯახო საფუტკრეებში მუშაობის გამოცდილება, გარკვეული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

ვეტერინარული პრეპარატების ხელმისაწვდომობა – ვეტერინარული პრეპარატების მიმართულებით, ერთ-ერთ გამომწვევას წარმოადგენს ქართულ ენაზე შესაბამისი ანოტაციების არ არსებობა. მეფუტკრეებმა აღნიშნეს, რომ პრეპარატი „ბისანარი“ წლების განმავლობაში სხვადასხვა შემადგენლობით შემოდის ქართულ ბაზარზე და არ მოყვება ქართული ანოტაცია, რაც არსებული რეგულაციების დარღვევაა.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ბაზარზე არარეგისტრირებული პრეპარატების ცირკულაცია. აღინიშნა, რომ ხორციელდება ისეთი პრეპარატების უკონტროლო რეალიზაცია, როგორებიცაა „ნოზემატი“, „ნოზემაციდი“ და „ნოზემასტოპი“. აღნიშნული პრეპარატები დაშვებული არ არის, თუმცა მათი რეალიზაცია ხდება. ლაბორატორიული შემოწმებისას თაფლში „მეტრონიდაზოლის“ შემცველობის დაფიქსირება პირდაპირ უკავშირდება ზემოაღნიშნული პრეპარატების გამოყენებას.

ერთ-ერთი გამომწვევაა რეგისტრირებული პრეპარატების გამოყენების შესახებ ცოდნის ნაკლებობა. ზოგიერთი პრეპარატის მრავალჯერადი და მიზანშეუწონელი გამოყენება უარყოფითად მოქმედებს თაფლის ხარისხზე.

ბიო ცვილის, ბიო ფიტის არ არსებობა – რაჭაში მოქმედი მეფუტკრეების აზრით, მეფუტკრეობის ბიოსერტიფიცირების სახელმწიფო პროგრამა სრულყოფილად ვერ იმუშავებს ბიო ცვილის არ არსებობის პირობებში. აღნიშნული გამომწვევა დგას როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე რაჭის რეგიონში. პრობლემის მოსაგვარებლად, საქართველოში უნდა შეიქმნას სერთიფიცირებული ბიოფიტის საწარმო. ბიო ცვილის არსებობის გარეშე, შეუძლებელია ბიო ფიტის მიღება. სერთიფიცირების პროცესს რეგიონში ასევე აფინანსებს პროექტი „გრეტა“.

პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ გზად ონის მუნიციპალიტეტში მიაჩნიათ ბიო-მეფუტკრეთა გაერთიანების შექმნა. მეფუტკრეების აზრით, გაერთიანების შექმნის შემდეგ მისი წევრი მეფუტკრეები გადავლენ ბიოსტანდარტებზე, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება ბიო ფიტის წარმოება.

ფალსიფიცირებული თაფლის რეალიზაციის კონტროლი – მეფუტკრეების აზრით, თაფლის, მათ შორის ფალსიფიცირებული თაფლის რეალიზაცია ქაოტურად ხდება ტურისტულად აქტიურ ადგილებში და რეგიონების მცირე მარკეტებში.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა სახელმწიფოს აქტიური ჩართულობა და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ფუტკრის პროდუქტებთან დაკავშირებით უფრო აქტიური კონტროლის განხორციელება. ასევე, კანონმდებლობის მიხედვით, ფუტკრის პროდუქტი უნდა იყოს ნიშანდებული, რომ იყოს მიკვლევადი. ფალსიფიცირებული თაფლის რეალიზაცია ხდება ნიშანდების გარეშე.

სასურველია განისაზღვროს ის სახელმწიფო ორგანო, რომელიც ტურისტულ ადგილებში ფუტკრის პროდუქტების რეალიზაციას გააკონტროლებს. საფუტკრე მეურნეობების პასპორტიზაცია ამ პრობლემის მოგვარებას გარკვეულწილად შეუწყობს ხელს. ასევე, ერთ-ერთი გამოსავალი შესაძლოა იყოს რაჭული თაფლის დარეგისტრირება საქპატენტში და ერთიანი ბრენდით გაყიდვა.

2.8. ქართული თაფლის ხარისხის გასაუმჯობესებლად და საექსპორტო კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად გასათარეხალი ღონისძიებები

საჯარო სექტორის წარმომადგენლების აზრით, იმისათვის, რომ თაფლის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად მოხდეს შესაბამისი რაოდენობის ექსპორტირება, კერძო სექტორი უნდა შეეცადოს გამსხვილებას და პარტნიორობის პრინციპებზე დაყრდნობით საერთო თამაშის წესების დამკვიდრებას. გამსხვილების და კოოპერაციის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს თაფლის წარმოების სრული ჯაჭვის განვითარებას, პროდუქტის დროულ ლაბორატორიულ შემოწმებას, რაც ხელს შეუწყობს წარმოებული პროდუქტის მიკვლევადას. აუცილებელია კერძო სექტორის ინფორმირების და მომზადების გაუმჯობესება არსებული ვალდებულებების შესახებ. ბიზნეს ოპერატორები მოტივირებულები უნდა იყვნენ თაფლის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით და იცოდნენ, რომ თანამედროვე მოთხოვნების დანერგვა დადებითად მოქმედებს გაყიდვებზე.

აუცილებელია, რომ საქართველოს რეგიონებში მეფუტკრეობის ძირითად საკითხებზე გადაზრდნენ სპეციალისტები, რათა მათ შეძლონ რეკომენდაციების გაცემა, მეფუტკრეების მხარდაჭერა პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაში, კვალიფიციური რჩევების მიცემა ფუტკრის მკურნალობის, კვების და გამომამთრების საკითხებზე. ეს შესაძლოა განხორციელდეს ქართველი სპეციალისტების საზღვარგარეთ გადამზადების და შემდგომ მათი პროფესიულ სასწავლებლების შესაბამის პროგრამებში ჩართვის გზით. მეფუტკრეთა ცოდნის და განათლების მასიური განვითარების გარეშე ევროკავშირთან დაახლოებული კანონმდებლობის აღსრულება მუდმივი პრობლემა იქნება.

აღსანიშნავია, რომ ღონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის საფუძველზე ხდება ახალი ლაბორატორიული კვლევების მეთოდების დანერგვა, საჭირო აპარატურის შეძენა და ლაბორატორიის სპეციალისტების კომპეტენციის ამაღლება. მსგავსი სახის თანამშრომლობა კი შედეგად გვაძლევს საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამის მომსახურებებს ქართველი ბიზნესოპერატორებისთვისა და დაინტერესებული პირებისთვის.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების აზრით, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პარალელურად აუცილებელია საფუტკრეების რეგისტრაცია, კარგი სანარმოო პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით მეფუტკრეების ინტენსიური სწავლება, ვეტერინარული აფთიაქების ინსპექტირება აკრძალული და ვადაგასული პრეპარატების გამოვლენის მიზნით, ასევე კერძო სექტორის მხარდაჭერი პროგრამების საშუალებით მეფუტკრეების ხელშეწყობა მოძველებული ინვენტარის განახლების მიზნით. გარკვეულ ეტაპზე საჭირო იქნება სხვადასხვა აქტორების ჩართულობა ქართული თაფლის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლების და პოპულარიზაციის სამუშაოებში.

მათი აზრით, უმნიშვნელოვანესია ფუტკრის სპეციალისტების გადამზადება საზღვარგარეთ, რომელთაც შეუძლიათ უცხო ენაზე (ინგლისურად, გერმანულად) შესაბამისი ცოდნის მიღება და მეფუტკრეებისათვის გადაცემა. საზღვარგარეთ გადამზადებული სპეციალისტები უნდა ჩაერთონ ადგილობრივი პროფესიული სასწავლებლების საქმიანობაში და თავიანთი წვლილი შეიტანონ მეფუტკრეების განათლების დონის გაუმჯობესებაში.

არასამთავრობო სექტორის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თავლის სახელმწიფო ლაბორატორიის საქმიანობა გარკვეულწილად კონფლიქტში მოდის კერძო ლაბორატორიებთან. სახელმწიფო ლაბორატორია უნდა აწარმოებდეს მონიტორინგს და არ უნდა იყოს კონკურენციაში კერძო ლაბორატორიებთან. საზღვარგარეთის ქვეყნებში სახელმწიფო ლაბორატორია თავის სერვისებს ფერმერებზე არ ყიდის. ასევე აღსანიშნავია, რომ როგორც წესი, კერძო ლაბორატორიების სერვისის ხარისხი უკეთესია. შესაბამისად სახელმწიფო ლაბორატორია უნდა იყოს მაკონტროლებელი და რეგულატორი, ვიდრე პირდაპირ სერვისის მიმწოდებელი.

ჩანართი 1: მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება სლოვენიაში

სლოვენია მეფუტკრეობის და ხარისხიანი თაფლის წარმოებით გამორჩეული ქვეყანაა ევროკავშირში და მთელს მსოფლიოში. მეფუტკრეობა მიიჩნევა არამარტო თაფლის წარმოების, არამედ მცენარეების დამტვერვის, კვების მრეწველობის და ტურიზმის განვითარების, გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვანდ წყაროდ. მაშინ როდესაც მსოფლიოში ფუტკრის ოჯახების რაოდენობა მცირდებოდა, სლოვენიაში იზრდებოდა. გაეროს საკვების და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის თანახმად, 2007-დან 2017 წლამდე ფუტკრის სკების რაოდენობა 57%-ით გაიზარდა, ხოლო ფუტკრის ოჯახების რაოდენობა წელიწადში 2%-ით იზრდებოდა.

სლოვენიის მეფუტკრეობაში გამოიყენება უნიკალური AŽ სკები, რომლებიც გამოიგონა ადგილობრივმა მეფუტკრემ ანტონ ზდიდერშიჩმა. აღნიშნული სკები შედარებით მცირე ზომისაა და მათი გაღება ასევე შეიძლება უკანა ნაწილიდან. სკების მოცემული სტრუქტურა უადვილებს მეფუტკრეებს ფუტკრის ოჯახების ინსპექტირებას და ეხმარება პრობლემების უფრო ადრე გამოვლენაში. ის ასევე იძლევა სკების ერთად განლაგების საშუალებას, რაც სხვადასხვა მავნე ელემენტებისაგან დაცვის კარგი საშუალებაა. სკების ფორმა და მცირე ზომა პირდაპირ დადებით გავლენას ახდენს წარმოებული თაფლის გემოვნურ თვისებებზე. AŽ სკები ფუტკრის ოჯახებს კარგად იცავს ცივი ზამთრის პირობებში, ძლიერი ქარების და დაბალი ტემპერატურისაგან. დღეისათვის, სლოვენიაში ფუტკრის ოჯახების 90% ასეთი სახის, მცირე ზომის შეფერილ სკებში ბინადრობს.

სლოვენიის მეფუტკრეობის სექტორში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს სლოვენიის მეფუტკრეთა ასოციაცია, რომელიც 1873 წელს დაარსდა. ასოციაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს მეფუტკრეთა განათლება.

ასოციაცია უკვე 130 წელია გამოცემს მეფუტკრეთა ჟურნალს „სლოვენიელი მეფუტკრე“. ჟურნალი კონცენტრირებულია შემდეგ თემებზე:

- ✦ ადგილობრივი ფუტკრის ჯიშის დაცვა
- ✦ ფუტკრის დაავადებები
- ✦ მეფუტკრეობის ტექნოლოგიები
- ✦ მეფუტკრეობის სექტორული მიმოხილვა
- ✦ მარკეტინგი
- ✦ სხვა აქტუალური საკითხები.

ასოციაციას ოფიციალურად აქვს მინიჭებული უფლება აწარმოოს კონსულტაციები მეფუტკრეებისათვის. ცენტრში, სადაც განლაგებულია ასოციაციის ოფისი, ასევე მდებარეობს საკონსულტაციო სამსახური, ჟურნალის რედაქცია, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და მაღაზია, რომელიც ახდენს მეფუტკრეთათვის აუცილებელი დანადგარების და პროდუქციის რეალიზაციას.

გარდა ზემოთჩამოთვლილისა, მეფუტკრეობის ასოციაცია ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- ✘ მეფუტკრეებისათვის რჩევების მიცემა, მათი განათლება და ექსტენციის ტრენინგების უზრუნველყოფა
- ✘ საგანმანათლებლო და ექსტენციის ტრენინგების ჩატარება ბავშვებისათვის
- ✘ საგანმანათლებლო და სარეკლამო კამპანიების/პროექტების წარმოება, როგორცაა მეფუტკრეთა დღეები, აპითერაპიის დღეები, თაფლის ხარისხის სქემების დღეები, აპი-ტურიზმი
- ✘ მონაწილეობა გამოფენებში
- ✘ კონფერენციების და სიმპოზიუმების ორგანიზება
- ✘ საგანმანათლებლო და სარეკლამო მასალების გამოცემა
- ✘ ვებ-გვერდების განვითარება მეფუტკრეებისათვის, აპი-ტურიზმის ორგანიზაციებისათვის, დედა ფუტკრების გამომყვანებისათვის

2011 წელს სლოვენია ევროკავშირის პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ფუტკრის დახოცვის გამო აკრძალა ნეონიკოტინოიდის პესტიციდების გამოყენება. სლოვენიის მეფუტკრეობის ასოციაციამ, მეფუტკრეების მოთხოვნის საფუძველზე მიმართა სლოვენიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აღნიშნული პესტიციდების აკრძალვის თხოვნით. იმავე წელს მიღებულ იქნა აკრძალვის გადანყვეტილება, რის შედეგადაც შემცირდა ფუტკრის სიკვდილიანობა. დადებითი შედეგის შემდეგ, სლოვენიელმა მეფუტკრეებმა გაუზიარეს გამოცდილება ევროკავშირის სხვა ქვეყნებს, რის შედეგადაც 2013 წელს ევროკავშირმა გამოაცხადა მორატორიუმი ნეონიკოტინოიდის პესტიციდების სამ სახეობაზე. შემდეგ ანალოგიური გადანყვეტილება მიღებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ფუტკრის სლოვენიური უნიკალური ჯიშის დაცვის მიზნით, ქვეყანას ასევე აკრძალული აქვს ფუტკრის სხვა ჯიშების იმპორტი. დღეისათვის, სლოვენიური ფუტკარი - Carniolan honey bee წარმოადგენს ერთადერთ დაცულ ფუტკრის ჯიშს ევროკავშირში.

სლოვენიური ფუტკრის სკები და თაფლის წარმოების წარმატებული გამოცდილება მზარდ ინტერესს იწვევს მთელ მსოფლიოში. გამოცდილების გაზიარების მიზნით, სლოვენიის მთავრობამ 2018 წელს შექმნა მეფუტკრეობის აკადემია, რომლის მიზანსაც წარმოადგენს უცხოელი მეფუტკრეების განათლება სლოვენიური მეფუტკრეობის და თაფლის წარმოების გამოცდილების შესახებ.

სლოვენიის მეფუტკრეობის ასოციაციის ინიციატივითა და ლობირებით, 2017 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 20 მაისი მსოფლიოს ფუტკრის დღედ გამოაცხადა. ამ დღეს, ფუტკრის კონსერვაციით დაკავებული ფიზიკური პირები და ორგანიზაციები იკრიბებიან, რათა გაზარდონ ცნობიერება ფუტკრის მნიშვნელობის შესახებ ეკოლოგიისა და საკვები სისტემებისათვის.

მეფუტკრეების თვალთახედვით, სახელმწიფო აქტიურად უნდა უჭერდეს მხარს ქართული თაფლის საერთაშორისო მასშტაბით პოპულარიზაციას საერთაშორისო გამოფენების საშუალებით. ასევე ხელი უნდა შეეწყოს ფუტკრის სამკურნალო ორგანული პრეპარატების შესახებ ცნობადობის გაზრდას და მათ შეღავათიან ფასში შეთავაზებას. საჭიროა ლაბორატორიული ანალიზების წახალისების და ხელმისაწვდომობის, ასევე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საფუტკრეების მოწყობის, ხარისხიანი სკების შექმნის, ბიო მეურნეობების განვითარების და სერტიფიცირების მხარდაჭერა. მეფუტკრეებმა აღნიშნეს, რომ ბაზარზე ხელმისაწვდომია კარგი ხარისხის შვედური სკები, თუმცა მათ შექმნას საკუთარი სახსრებით ვერ ახერხებენ. სახელმწიფომ ასევე უნდა გაააქტიუროს ვეტერინარული პრეპარატების კონტროლი.

ახალი დანადგარების შექმნის, საფუტკრეების მოწყობის, შესაბამისი ტრენინგების და ბიო მეურნეობების განვითარების სფეროში მნიშვნელოვანი როლი ექნება საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებას. მეფუტკრეების აზრით დონორი ორგანიზაციების და სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერის შემთხვევაში უნდა გააქტიურდეს დახმარების მიზნობრივად გამოყენების კონტროლის მექანიზმები, საგრანტო და სხვა ხელშეკრულებების აღსრულება.

მეფუტკრეების აზრით მათ უნდა გააქტიურონ ძალისხმევა თაფლის ხარისხის ამაღლების, წარმოების გაზრდის და საწარმოების კონსოლიდაციის მიმართულებით.

მათი აზრით, თაფლის მომხმარებელი საქართველოში უფრო მომთხოვნი გახდა ხარისხის მიმართ. საჭიროა ამ მიმართულებით მეტი პროგრესის მიღწევა, რაც დადებითად იმოქმედებს ადგილობრივად წარმოებული თაფლის ხარისხზე და მის რეალიზაციაზე.

დანართი 1: საჯარო და არასამთავრობო ინსტიტუტებთან ჩატარებული ინტერვიუები

| ინტერვიუს თარიღი | ინსტიტუტი | თანამშრომელი | თანამდებობა |
|------------------|---|---------------------|--|
| 21.12.2021 | ექსპორტის განვითარების ასოციაცია | გვანცა მელაძე | დამფუძნებელი |
| 10.01.2022 | სურსათის ეროვნული სააგენტო | ცირა ნაფეტვარიძე | განსაკუთრებით საშიში ინფექციურ დაავადებებზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი |
| 10.01.2022 | სურსათის ეროვნული სააგენტო | თეა ოშხერელი | ვეტერინარიის დეპარტამენტის კონტროლის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი |
| 31.03.2022 | სურსათის ეროვნული სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამმართველო | გაბრიელ ჩიკვაძე | სამმართველოს უფროსი |
| 25.01.2022 | გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | ქეთევან ლაფერაშვილი | სურსათის და სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე |
| 13.01.2022 | სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია | ირაკლი გულედანი | ლაბორატორიის დირექტორი |
| 29.12.2021 | სურსათის ეროვნული სააგენტო | ანა გემბაზაშვილი | სურსათის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე |
| 12.01.2022 | მეფუტკრეთა გაერთიანება | ალეკო პაპავა | ხელმძღვანელი |

